პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1980 წელი სამშაბათი 13 მაისი № 109 (17752) ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲔᲑᲡ!

ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ იუბილესა და გამარჯვების 35-ე წლისთავის წელს განსაკუთრებული ყურადღებით ვეკიდებით პარტიის ვეტერანებს, რევოლუციის, ომისა და შრომის ვეტერანებს. ისინი წინანდებურად საბრძოლო მწყობრში დგანან — ეწევიან აქტიურ მუშაობას მარქსიზმ-ლენინიზმის ერთგულების სულისკვეთებით ახალგაზრდობის აღზრდისათვის, უზიარებენ მას მდიდარ გამოცდილებას, სწავლიან იშრომონ და იცხოვრონ ისე, როგორც ვ. ი. ლენინმა გვიანდერძა. უდიდესი ინტერესით აღვიქვამთ უფროსი ამხანაგების საუბარს ზამთრის სასახლის იერიშისა და მაგნიტკის მშენებლობის, ლენინის აღებისა და დნეპრპეტროს აღდგენის შესახებ... საამქროში ოფიციალურად ეს საუბარი თუ საერთო საცხოვრებელში, წითელ კუთხეში თუ კულტურის სასახლეში — ვეტერანი ვერ შეცვლის იმ უდიდეს ამაღელვებელ ზემოქმედებას, როგორსაც ისტორიული ოქტომბრის მონაწილეებთან უშუალო ურთიერთობა ქმნის.

ლენინური პრემიის გადაცემის დროს წარმოთქმულ სიტყვაში ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, რამდენად მნიშვნელოვანია, რომ ახალშვილები და ჭაბუკები ეზიარონ სოციალისტური საზოგადოების ერთიერთობის სათავეებს, წარმოიდგინონ, როგორ იქმნებოდა საბჭოთა სახელმწიფოს გოლეთური ეკონომიკური და სულიერი პოტენციალი. „ჩვენი საქმეების მემკვიდრეობითობის შეგნება, — აღნიშნა მან, — დაგვეხმარება უკეთ გავიგოთ დღევანდელობის მოცანებიც და ის საქმეებიც, რომლებიც ჩვენს ხალხს ხვალ ელის. ბუნებრივია, რომ მოზარდი თაობის აღზრდაში აქტიურად მონაწილეობენ ვეტერანები — პირველი ხუთწლედების დამკვრელები, ადიდი სამამულო ომის მებრძოლები, ომისშემდგომი აღორძინების მებრძოლები. მადლობა მათ დიდი პატიოსნებისათვის. იგი ფასდაუდებელ საჭირო და სასარგებლოა“.

საგულისხმოა მოსკოვისა და ლენინგრადის პარტიული ორგანიზაციების გამოცდილება, რომლებიც ახალგაზრდობასთან მასობრივ მუშაობაში მუდამ ეყრდნობიან ვეტერანებს. სხვადასხვა თაობის წარმომადგენელთა შეთამბეჭდავი შეხვედრა გაიმართა, მაგალითად, ამს წინათ ვ. ი. ლენინის სახელობის გაერთიანება „ნევის ჭარხლანაში“, სოციალისტური შრომის გმირმა, 1915 წლიდან სკკპ წევრმა ვასილ პეტრეს ძე ვინოგრადოვმა საზეიმო ვითარებაში გადასცა ლენინური სპარტიო ნიგელები წარმოების მოწინავეებს, რომლებმაც ვადამდე შეასრულეს ხუთწლედი, მოიწოდა კოლექტივის ყველა მეევრს იშრომონ უკეთ. „ჩვენთვის, — თქვა ბრიგადირმა იური მარტიანოვმა, — დიდი პატივია მივიღოთ ჯილდო უხუცესი პიტერელი მუშისაგან“. სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულებმა პირობა დადეს: ხუთწლედის დამლევამდე შეასრულონ კიდევ

ᲞᲠᲐᲕᲓᲐ

11 ᲛᲐᲘᲡᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ

ლენინგრადის დავალებანი

აქტიურად ებამს ვეტერანებს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, იდეურ-აღმზრდელობითს მუშაობაში სხვა ქალაქების, ოლქების, რესპუბლიკების ბევრი პარტორგანიზაციაც. ბევრი რამ კეთდება ამისათვის საქართველოს სს რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით აქ გაიმართა ვეტერანთა საერთო კრება, აირჩიეს მათი მოქმედების კოორდინაციის საბჭო. ამან ხელი შეუწყო იმას, რომ მუშაობაში შემჭნილიყო საჭირო სიტყვა, მნიშვნელოვნად ამაღლებულიყო გამოცდილ ადამიანთა, დიდი სტაჟის მქონე კომუნისტთა როლი და ავტორიტეტი, გაძლიერებულიყო მათი გავლენა აღმზრდელობითს პროცესზე.

ღია პარტიულმა კრებებმა, რომელთა დღის წესრიგია „ვიცხოვროთ, ვიმუშაოთ და ვიბრძოლოთ ლენინურად, კომუნისტურად“, ერთ-ერთ ერთხელ ცხადყო, თუ რა ცხოველი ინტერესით აღიქვამენ ვეტერანთა სიტყვას. უფროსი ამხანაგები, რომლებსაც დიდი ცხოვრებისეული სკოლა აქვთ განვლილი, ვეეხმარებიან უფრო ნათლად გავიგოთ, როგორ მტკიცდებოდა და ვითარდებოდა ლენინური პარტიის სახელოვანი ტრადიციები, ვეზიარებენ გამოცდილებას, ეკეთებენ რჩევას. ქვეყნის უდიდეს ისტორიასთან ჩვენი დღევანდელი საქმეების თვალსაჩინო ურთიერთობის შეგნება თითოეულ კომუნისტს საშუალებას აძლევს თავის მუშაობას მოეკიდოს მეტი ომბოხოვნელობით, აძლიერებს პასუხისმგებლობის გრძნობას გეგმებისა და ვალდებულებების შესრულებისათვის.

პარტიულმა ორგანიზაციებმა უფრო სრულად უნდა გამოიყენონ ყოველივე საუკეთესო რევოლუციურ, საბრძოლო და შრომითი ტრადიციებზე მასების აღზრდის პრაქტიკიდან. ვეტერანთა დახმარება ამ საქმეში ფასდაუდებელია. ყველასათვის გამოიძებნება სამუშაო თავისი შესაძლებლობებისა და ხუთვალის მიხედვით. მათ ეხმარის მრავალი ათასი ახალგაზრდობის დამრიგებელია. ბევრი შრომობს სახალხო კონტროლის ჯგუფებსა და საგუშაგოებში, საბჭოთა კავშირის გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების პირველად ორგანიზაციებსა და დოსაფაში, მეთაუროობს ქუჩისა და სახლნაო კომიტეტებს, საზოგადოებრიობის სხვა ორგანოებს. სასარგებლო საქმეებში მონაწილეობა ვეტერანებს ეხმარიტ კმაყოფილებას ანიჭებს.

ბევრი კომუნისტი, რომელიც პენსიაში გადის, პარტაღრიცხვაზე ტოვებენ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. რა თქმა უნდა, მათთვის უჩვეულო, როცა ყოველდღიური ურთიერთობა არა აქვთ ერთ-ერთ კოლექტივთან, ამხანაგების შეჩვეულ წრესთან: რაღაც ცვლილებანი უნდა გაკეთონ, სადმე უნდა გამოიყენონ ძალ-ღონე! მეტად მნიშვნელოვანია დროულად ვაზიარონ ადამიანი პარტიულ ან სხვა საზოგადოებრივ მუშაობას საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ვიზრუნონ, რომ იგი შეეგუოს მის თავისებურებებს, შევურჩიოთ დავალება, რომელიც მას მოსწონს.

ვეტერანთა აღმზრდელობითი როლის ამაღლება მუდმივი და მრავალმხრივი პროცესია. მისთვის შეუფუნარებელია კამპანიური, ფორმალური მიდგომა. მაგრამ ასეთი რამ კიდევ გვხვდება. ზოგან ვეტერანები ახსენდებათ მხოლოდ საზეიმო დღეებში, რათა მიიწვიონ სხვანი პრეზიდიუმში. და განა ნორმალურია, რომ პარტიის ზოგიერთი რაიკომისა და საქალაქო კომიტეტის მუშაკები არ ეკითხებიან სახლმმართველობის, საბინაო-საექსპლოატაციო კანტორის პარტორგანიზაციებს!

მუდამ უნდა გვახსოვდეს: უფროსებთან ურთიერთობა შესამჩნევად გაფუვნებს ახდენს კოლექტივების ზნეობრივ კლიმატზე, ახალგაზრდა ადამიანის აღზრდაზე. აქ არ არის და არც შეიძლება იყოს წვრილმანები. დღესასწაულის მილოცვა, თხოვნაზე გულისხმიერი გამოხმაურება, სასარგებლო რჩევის გაზიარება — ვეტერანებისადმი ყურადღების ყველა ეს ნიშანი უნდა გახდეს თითოეული პარტიული ორგანიზაციის, თითოეული კოლექტივის უცილობელი წესი. პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა, პროფკავშირებმა უნდა იზრუნონ იმ ადამიანთა ყოფა-ცხოვრების, დასვენებისა და მკურნალობის კარგი პირობების შექმნისათვის, რომლებმაც ჩვენს საერთო საქმეს ბრძოლისა და შრომის ბევრი ათწლეული შეალიეს. პარტიამ და სახელმწიფომ ბოლო დროს ამ მიმართულებით სერიოზული ღონისძიებანი მიიღეს, რომლებიც ყველგან განუხრელად უნდა ხორციელდებოდეს.

ვეტერანები სულიერად არ ბერდებიან. დაე, რევოლუციური გზნებით, მხედრული და შრომითი გმირობის რომანტიკით აღსავსე ათეული სიტყვას, გმირობას, რომელიც პარტიამ და ხალხმა მოახდინეს დიდი ლენინის დროშით, თითოეული გულით გამოეხმაუროს და ეამედ აქციოს!

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

ᲐᲛᲮ. Ზ. Ა. ᲩᲮᲔᲘᲫᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲡᲘᲒᲔᲚᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔ

მრეწველობასა და პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ზურაბ ამბროსის ძე ჩხეიძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. გილასვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშვარაშვილი.

თბილისი. 8 მაისი, 1980 წ.

ᲓᲘᲠᲡᲔᲣᲚᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲗ ᲕᲐᲡᲐᲮᲔᲚᲝᲗ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ!

მივცეთ ქვეყანას 470 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი, 462 ათასი ტონა ხილი, 650 ათასი ტონა ყურძენი, 170 ათასი ტონა ციტრუსი, მივაღწიოთ მეცხოველეობის პროდუქტიულობის შემდგომ ზრდას — ასეთია საქართველოს სოფლის მშრომელთა ვალდებულებანი ხუთწლედის დამამთავრებელ წელს; ამ ვალდებულებათა წარმატებული შესრულებისათვის ბრძოლაში აქტიურად ჩაებნენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, ბრიგადების კოლექტივები. შეჯიბრებას სათავეში უდგანან კომუნისტები, კომკავშირელები, მინდვრების, ფერმების მოწინავეები და ნოვატორები.

ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲡ ᲕᲐᲮᲢᲘ

ᲐᲓᲠᲔ მოვიდა წელს გაზაფხული საქართველოში. აყვავდა ხეხილის ბაღები. პლანტაციებსა და ყანებს მოედინენ მეჩიაიები და მესიმინდეები. აღმოსავლეთ რაიონებში დროულად დამთავრდა შაქრის ჭარხლის, მზესუმზირას, კარტოფილის თესვა. კარგად მიმდინარეობს სამუშაოები სიღნაღის, გურჯაანის, ბოლნისის, დმანისის და ზოგიერთ სხვა რაიონში.

და მაინც, წელს ალოობის ტემპი შარშანდელზე უფრო ნელია. რატომ? მიზეზი ბევრია. ერთ-ერთია ამ ადგილებისათვის უჩვეულოდ გვიანი აცივება, რამაც მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა მიწათმოქმედებასა და მებაღეობას. იყო დღეები, როცა ვერცხლისწყლის სვეტი რამდენიმე გრადუსით დაბლა იწეოდა ნულს ქვემოთ. ყველაზე დიდი საფრთხე შეექმნა კურკოვანებს, განსაკუთრებით ქართლის სამრეწველო მეხილეობის ზონაში, სადაც ვაშლის და ატმის ბაღებია გაშენებული. შენელდა საგაზაფხულო კულტურების თესვის ტემპი.

— პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა ბუნების პირველეულობას ორგანიზებულობა, სიზუსტე და ოპერატიულობა დაუპირისპირეს. — ამბობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჯ. პატიაშვილი. — არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ნაყოფიერი მუშაობა, რომელიც გასწიეს ადგილებზე შექმნილმა ყინვისაგან ნარგავებისა და ნათესების დაცვის, მინდვრის სამუშაოთა სწრაფი ტემპის უზრუნველყოფის შტაბებმა.

კვალიფიციური დახმარების გაწევვად, მთელ რიგ მეურნეობებში ვითარების გასაანალიზებლად რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გაგზავნა სპეციალისტები და მეცნიერები. მათ შეიმუშავეს და მიწათმოქმედებთან ერთად განახორციელეს ღონისძიებათა კომპლექსი, რომელთა შედეგად ასობით ჰექტარი დაზიანებული ნარგავები და ნათესები გადარჩა.

ბევრი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა ინაზღაურებს დაკარგულ დროს, აქ დროულად დაამთავრეს თესვა და ახლა შეუდგნენ ნათესების დამუშავებას, უვლიან ბაღებსა და ვენახებს.

რესპუბლიკაში დაიწყო ჩაის ფოთლის შერჩევითი კრეფა. მუშაობაში პირველი ჩაებნენ ხობის რაიონის მიწათმოქმედნი. ორ ტონაზე მეტი ფოთოლი მოკრიფეს პირველ დღეს სოფელ ახალი ხიბულის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში. ჩაის კრეფას შეუდგნენ ადრეთვე სოფლების ძველი ხიბულის, ბიის კოლმეურნეობები და სხვა მეურნეობები. საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწია სოფელ საჯიჯოს ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ. აქ მეჩაიემ, სოციალისტური შრომის გმირმა ქ. კევალიშვილმა ერთისამად გადააჭარბა დღიურ ნორმას, მოკრიფა 27 კილოგრამი ჩაი. ორ-ორი და სამ-სამი დღიური ნორმა შესრულეს აგრეთვე მოწინავე მეჩაიეებმა მ. წურწუმიამ, მ. ფოცხორაიამ, ლ. ტუნტიამ, მ. ალექსანდრიამ და სხვებმა.

— ჩვენი მთავარი ამოცანაა ყოველდღიურად გავადიდოთ სამუშაოთა ტემპი, — თქვა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ე. ბუკიამ, — წელს სამშობლოს უნდა მივცეთ 1600 ტონა ნედლეული — შარშანდელზე თითქმის სამსი ტონით მეტი.

ამავე დროს ზოგან რესპუბლიკაში ცუდად იყენებენ არსებულ შესაძლებლობებს, არ იცავენ ოპტიმალურ აგროტექნიკურ ვადებს. სერიოზულად ჩამორჩება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები თეთრი წყაროს, ლაგოდეხის, თელავის რაიონებში, აგრეთვე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ზოგიერთ მეურნეობაში. გაუმართლებლად ჭიანურდება სიმინდის თესვა.

რესპუბლიკის მიწათმოქმედებს ყველა შესაძლებლობა აქვთ აინაზღაურონ დანაკლისი, გააძლიერონ მინდვრის სამუშაოთა ტემპი.

ბ. ლეგანიძე,
(„პრავდის“ კორ.).

საქართველოს სსრ.

„პრავდა“, 1980 წ. 12 V.

ᲛᲔ-18 ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲗᲐ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘ იუბილესა და დიადი გამარჯვების 35-ე წლისთავის წელს დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის ისტორიულ გამარჯვებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. იმათი ხსოვნა და არდავიწყება, ვინც სიცოცხლის დაუზოგავად შეება კაცობრიობის უბოროტეს მტერს — ფაშიზმს, გვამხნევებს და აღგვიფსებს გულს უსაზღვრო მადლიერებით. დროცამი ვერას აკლებს დიად მგზიბრობას: იგი სამუდამოდ რჩება ჩვენს მიღწევებში, ხსოვნასა და გულში.

ისტორიული გამარჯვება აღგვაკვლევს უდიდესი მადლიერებით სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბჭოთა ხალხის ბრძოლის ორგანიზატორის და სულისჩამდგმელის — კომუნისტური პარტიისადმი. ლენინის პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით ახორციელებენ მიზანმიმართულ, პრინციპულ პოლიტიკას — დაბულობის შენელების შემდგომი დამკვიდრების, ხალხთა მეგობრობისა და თანამშრომლობის განვითარების პოლიტიკას.

12 მაისს მოსკოვში, საბჭოთა არმიის ცენტრალურ სახლში გაიმართა სახელგანთქმული მე-18 არმიის ვეტერანთა ტრადიციული შეხვედრა. აქ შეიკრიბნენ ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული გმირები — ნოვოროსიისკის, ტუაფსესა და ქერჩისათვის, უკრაინის, პოლონეთის, უნგრეთის, რუმინეთისა და ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლებისათვის ბრძოლების მონაწილენი.

თანამებრძოლ მეგობრებს ესტუმრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის მარშალი ლ. ი. ბრეჟნევი, რომელმაც ომის წლებში მე-18 არმიის ჯარისკაცებთან და ოფიცრებთან ერთად განვლო არმიის გმირული გზა ნოვოროსიისკიდან პრაღამდე. ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს შეკრებილნი მხურვალედ შეხვდნენ.

შეხვედრა გახსნა მე-18 არმიის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოპეკინმა. მან შეკრებილთა სახელით ულრმესი, მხურვალე მადლობა მოახსენა ლენინდი ილიას ძეს, რომელიც ყურადღებას არ აკლებს წარსული ომის ჯარისკაცებს, თანამებრძოლ ამხანაგებს, თანაპოლკელ მეგობრებს. ეს, თქვა მან, ჩვენ კვლავ და კვლავ მიგვიჩნია ლენინდი ილიას ძის ჭეშმარიტი დიდსულოვნების გამოვლინებად, რომელიც ომის წლებშიც და ახლაც მუდამ ჩვენთან ერთად, ჩვენს შორის არის. ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევს უსურვა ჯანმრთელობა და კარგად ყოფნა, წარმატებანი მის კეთილშობილურ მოღვაწეობაში საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ და საბედნიეროდ, მშვიდობისა და კომუნიზმის გასამარჯვებლად.

შემდეგ ვეტერანთა წინაშე გამოვიდა ლენინდი ილიას ძე ბრეჟნევი, რომელსაც შეკრებილნი მხურვალე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ. მან გულითადად მიულოცა თანაპოლკელებს ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 35-ე წლისთავი, მადლობა მოახსენა ნაზი ბოსუა, რომ ჩვენი პარტია და სახელმწიფო კვლავაც ყველაფერს იღონებენ, რათა შეეფინარჩუნოთ მშვიდობა მთელს მსოფლიოში, საკადრისი პასუხი გავცეთ რეაქციისა და იმპერიალიზმის ხრიკებს.

დასასრულ ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა თანაპოლკელებს უსურვა ჯანმრთელობა და კარგად ყოფნა, წარმატებანი შრომაში, უფროსი თაობის მხედრული და შრომითი დიდების ღირსეული მემკვიდრის — ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტულ აღზრდაში.

შეხვედრაზე გამოსულმა ამხანაგებმა — არმიის შტაბის ოპერატიული განყოფილების უფროსმა გადამდგარმა გენერალ-ლეიტენანტმა ნ. ა. სოლოვეიკინმა და არმიის პოლიტგანყოფილების უფროსის ,მოადგილემ გადამდგარმა პოლკოვნიკმა ბ. ი. კულიკმა მხურვალედ მიულოცეს ამხ. ლ. ი. ბრეჟნევს ლენინური პრემიის მინიჭება წიგნებისათვის „მცირე მიწა“, „აღორძინება“ და „ყამირი“, უსურვეს ახალი წარმატებანი დაუღალავ ბრძოლაში მშვიდობის დასამკვიდრებლად, დიდ პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეობაში ხალხის საკეთილდღეოდ.

(საკდესი).

ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲠᲘᲝᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲡᲕᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲖᲐᲓᲧᲝᲤᲜᲘᲡ ᲓᲐᲗᲕᲐᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება სამრეწველო საწარმოების, სამშენებლო-სამონტაჟო, სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციების დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალ პირობებზე გადასვლისათვის მზადყოფნის დათვალიერების მოწყობის შესახებ.

რესპუბლიკური დათვალიერების მიზანია უზრუნველყოს მეურნეობრიობის ახალ სისტემაზე გადასვლისათვის დროული და ხარისხიანი მომზადება და ამ დარგში გამოცდილების გაზიარება, წარმოების ეფექტიანობისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის ეკონომიკური სტიმულირების ბერკეტების უფრო სრული გამოყენება.

მთელი ეს მუშაობა უნდა დაექვემდებაროს შინაგანი რეზერვებისა და რესურსების ყოველმხრივი მობილიზაციის საფუძველზე მეათე ხუთწლედის გეგმებისა და ვალდებულებების წარმატებით შესრულების ამოცანებს. ამასთან დაკავშირებით შრომითმა კოლექტივებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ სამრეწველო პროდუქციის გამოშვების ზრდისათვის დამატებითი რეზერვების უფრო სრულ გამოყენებაზე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით შექმნილმა სამუშაო ჯგუფებმა გამოავლინეს 200 მილიონი მანეთის საერთო თანხის რეზერვები. ამ მიმართულებით მუშაობა უნდა გაგრძელდეს, გამოვლინდეს წარმოების სრულყოფის ახალი შესაძლებლობანი დამატებითი პროდუქციის გამოშვების გადიდებისა და მომდინარე წლის დაძაბული საწარმოო პროგრამის წარმატებით შესრულებისათვის.

დათვალიერებაში მონაწილეობას მიიღებენ აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, ყველა ქალაქი და რაიონი, სამინისტრო და უწყება, სამრეწველო სამინისტროების საწარმოები, გაერთიანებები, სამშენებლო-სამონტაჟო, სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციები, რომლებიც საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მდებარეობენ.

მეურნეობრიობის ახალ პირობებზე გადასვლისათვის საწარმოთა და ორგანიზაციათა მზადყოფნის დათვალიერება ეწყობა ორ ეტაპად:

პირველი ეტაპი — 1980 წლის 15 მაისიდან 15 ივნისამდე.

მეორე ეტაპი — 1980 წლის 15 სექტემბრიდან 15 ნოემბრამდე.

დათვალიერების მოწყობის საერთო ხელმძღვანელობას უზუნველყოფენ პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან, სამინისტროებსა და უწყებებში შექმნილი დაგეგმვის გაუმჯობესების სამუშაო ჯგუფები.

პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან, სამინისტროებსა და უწყებებში არსებული სამუშაო ჯგუფები აჯამებენ სამრეწველო საწარმოების, გაერთიანებების, სამშენებლო-სამონტაჟო, სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციების მზადყოფნის დათვალიერების შედეგებს და ავლენენ დათვალიერების გამარჯვებულთ. შედეგების შეჯამებისას მხედველობაში მიიღება მეურნეობრიობის ახალ პირობებზე გადასასვლელად მომზადების ორგანიზაციული, ტექნიკურ-ეკონომიური, სამეურნეო და პროპაგანდისტული ღონისძიებების შემუშავება და რეალიზაცია, სპეციალური პროგრამით კადრების სწავლების ორგანიზაცია, დაგეგმვის მდგომარეობა, სამუშაოთა სახეობების და შრომის, ნედლეულის, მასალისა და საწვავ-ენერგეტიკული რესურსების დახარჯვების მიხედვით პროგრესული ტექნიკურ-ეკონომიკური ნორმებისა და ნორმატივების სისტემის დანერგვა, მეურნეობრიობის ხარისხის შეფასების ახალი კრიტერიუმების გათვალისწინებით ეკონომიკური მაჩვენებლების შესრულების მიღწეული დონე, ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის ხვედრითი წონის ზრდა და სხვა.

რეგიონებში დათვალიერების შედეგების შეჯამებისას დამატებით მიიღება მხედველობაში პროდუქციის რეალიზაციაც მიწოდების, შრომის ნაყოფიერების, მოგების ვალდებულებათა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით.

მეურნეობრიობის ახალ პირობებზე გადასვლისათვის მზადყოფნის დონე ამ იერიდან მხედველობაში მიიღება საქართველოს სსრ სამინისტროებს, უწყებებს, რეგიონებს შორის გაწლილი რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების ნახევარი წლისა და წლიური შედეგების შეჯამებისას. (საქინფორმი).

ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲩᲐᲘᲡ ᲙᲠᲔᲤᲐ

ᲮᲔᲚᲕᲐᲩᲐᲣᲠᲘ, 12 მაისი. (საქინფორმის კორ). გონიოს ჩაის ფაბრიკამ გადასამუშავებლად მიიღო ახალი მოსავლის პირველი ტონა ნედლეული, რომელიც აქ მოიტანა ხელვაჩაურის რაიონის სოფელ თხილნარის კოლმეურნეობამ. აქაურმა მეჩაიეებმა აჭარაში პირველმა დაიწყეს ჩაის ფოთლის კრეფა.

— მოსავლის აღება ჩაის პლანტაციაში ოცი დღით უფრო გვიან დავიწყეთ, ეიდრე შარშან, — თქვა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ვ. გენჯაძემ.— ხანდაზმულებსაც არ ახსოვთ ისეთი ცივი გაზაფხული, როგორც წლევანდელია. მაგრამ აქ იცვამ — ახლა დაიწყება ბუჩქების განსაკუთრებით ძლიერი ვეგეტაცია, რაც მეჩაიეებს საზრუნავს გაუორკეცებს.

ბრიგადები, რომლებსაც დ. მიქელაძე, ვ. დუმბაძე, რ. დუმბაძე ხელმძღვანელობენ, შერჩევით კრეფაზე სრული შემადგენლობით გამოვიდნენ და შეუდგნენ შემოსული დუყების კრეფას. ხუთწლედის დამამთავრებელ წელს თხილნარელმა კოლმეურნეებმა გადაწყვიტეს მოკრიფონ 1300 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი — 100 ტონით მეტი, ვიდრე შარშანდელ უხვმოსავლიან წელს.

კრეფა დაიწყეს აგრეთვე ხელვაჩაურის რაიონის ურეხის, ახალსოფლის, გონიოს, ერგეს კოლმეურნეობებმა, სალიბაურის საბჭოთა მეურნეობამ და რაიონის სხვა მეჩაიეობის მეურნეობებმა.

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲐ

12 ᲛᲐᲘᲡᲘᲡ დაიწყო სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა კადრების კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტის მორიგი ნაკადის მეცადინეობა. მისი მსმენელები არიან მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სამხარეო, საოლქო ,კომიტეტების განყოფილებათა გამგეები.

მეცადინეობა გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა კ. უ. ჩერნენკომ.

მსმენელები შეისწავლიან კომუნისტური მშენებლობის მარქსისტულ-ლენინური თეორიისა და პრაქტიკის, საშინაო და საგარეო პოლიტიკის, იმ ორგანიზატორული და იდეოლოგიური საქმიანობის პრობლემებს, რომელსაც პარტია ეწევა სკკპ XXV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესასრულებლად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლებში მოცემული დებულებებისა და დასკვნების შესაბამისად.

მსმენელთა წინაშე გამოვლენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სამინისტროების, უწყებების პასუხისმგებელი მუშაკები, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის პროფესორ-მასწავლებლები. მსმენელები ერთმანეთს გაუზიარებენ მუშაობის გამოცდილებას, გაეცნობიან დედაქალაქისა და მოსკოვის ოლქის პარტიული კომიტეტების საქმიანობას. (საკდესი).

ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ კავშირი განაგრძობს თავისი ჯარების ცალმხრივ შემცირებას ევროპაში, რაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა გამოაცხადა 1979 წლის 6 ოქტომბერს ევროპის კონტინენტზე სამხედრო დაძაბულობის შენელების მიღწევის ინტერესებისათვის ს. მიმდინარე წლის 12 მაისიდან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან სამშობლოში გამოემგზავრება საბჭოთა ჯარის სატანკო ნაწილებისა და ქვეგანყოფების მორიგი ჯგუფი ტანკებთან ერთად. აღნიშნული ჯარის ნაწილებს განლაგებენ საბჭოთა კავშირის ევროპულ რაიონებში.

საერთაშორისო ცხოვრება
ლენინის ჯუნგლებიდან
გვიანდებინებენ საკრედიტო და ახალი ამბების საგენტოს კორესპონდენტები

პარტიული ცხოვრება: ჩვენი აქტიური პოზიცია

ეს პრეგა ჩემი მეხსიერებიდან ალბათ არასოროს წაშლება. 1945 წლიდან კომუნისტი ვარ. რა თქმა უნდა, არც პარტიული ორგანიზაციის კრებაზე გამოსვლია უცხოხილი ჩემთვის, არც კამთი, ახრთა შეხლა-შემოხლა. მაგრამ იმ კრებაზე სულ სხვა პოზიცია ვიჩრჩიე, თუ პოზიცია შეიძლება ეწოდოს ხმამოუღებლობას, სიტყვის უთქმელობას. გაოჩუმდი არა იმიტომ, რომ საათქმელი არაფერი მქონდა, არამედ იმიტომ, რომ ვიგრძენი ახრი აღარ ჰქონდა ჩემს ლაპარაკს. ანდა განა რამდენჯერ შეიძლება გიმეოროს ადამიანმა ერთი და იგივე.

საქმე კი ასე იყო: 1968 წელს სოფელ ზვარეში საშუალო სკოლა ვიხსნა. ეს გასაკეთებელი სასიხარულო მოვლენა გახდა სოფელში, რადგან მანამდე ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობა შვიდ კილომეტრზე სოფელ მოლითის საშუალო სკოლაში სწავლობდა.

წელს უკვე მეთერთმეტე გამოშვება მიიღეს საშუალო განათლების ატესტატს. მთელი ამ ხნის განმავლობაში დგას ერთი და იგივე პრობლემა, რომელიც ვერა და ვერ გადაიჭრა. ეს არის სკოლის შენობა. ამ წლების მანძილზე პარტიული ორგანიზაციის თითქმის არც ერთი კრება არ გამართულა, რომ ეს საკითხი მთელი სიმწვავით არ დასმულიყო, მრავალგზის ეთხოვა ორჯონიკიძის რაიონის განათლების განყოფილებას, რაიონის ხელმძღვანელ ორგანოებს. პირადად მე, როგორც დეპუტატმა, რამდენჯერმე დავაყენე ეს საკითხი სასოფლო საბჭოს აღმასკომის სხდომაზე. და განა მარტო მე! რამდენი ინსტანციისთვის მიუმართავთ. სკოლის დირექტორს ალ. სარალიძეს, პარტორგანიზაციის მდივანს ე. ჩიტაძეს, პედაგოგთა ყველაზე ფართო წარმომადგენლობითს შეკრებაზეც — რაიონულ კონფერენციაზეც ვთქვით ჩვენი გულისტკივილი. რესპუბლიკის განათლების სამინისტროს წარმომადგენლებმა გულისყურით მოგვისმინეს, დახმარებასაც დაგვპირდნენ, მაგრამ მას შემდეგაც ბევრმა წყალმა ჩაიარა, შეცვლით კი არაფერი შეცვლილა.

1978 წელს ბოლოს და ბოლოს თითქოს გადაწყდა პრობლემა ჩვენს სასიკეთოდ. გვითხრეს, სკოლის შენობის პროექტი მზად არის და მშენებლობა მალე დაიწყებაო. მარშან უკვე ახლომოსახლეობა უნდა გვეზიმა. ოქტომბერში ზესტაფონელი მშენებლები მართლაც ესტუმრნენ ჩვენს სოფელს, არც დაპირება დაუშურეს — უახლოეს ხანში დავიწყებთ მშენებლობასო. იმედით და რწმენით გავაცილეთ ინჟინრები, მაგრამ, სამწუხაროდ, ერთხელ კიდევ გაცრუვდა ჩვენი მოლოდინი.

ამ ბოლო ხანებში რამდენს ვწერეთ, რამდენს ვსაუბრობთ მომავალი თაობის აღზრდის პრობლემებზე. ეს ჩვენი საზოგადოების უპირველეს ამოცანად მიგვაჩნია, მაგრამ გამოდის, რომ ყველაფერი ეს მხოლოდ სიტყვებია. ფაქტობრივად კი მხოლოდ ჩვენ, პედაგოგებს, გვიწევს პრობლემებთან ჭიდილი. სხვა დარგის მუშაკებსაც რომ ასე ახლოს მიჰქონდეთ გულთან ეს საქმე, განა აქამდე მას არ მოეკლებოდა?!

ჩვენი სკოლის შენობა იმდენად ძველია, რომ ჭერზე ლურსმანს ვეღარ იკავებს, კედლებიდან ახლად შელესილი ბათქაში თავისთავად ცვივა. 8-9 პატარა, ბნელ ოთახში ვმუშაობთ. მეცადინეობა, რასაკვირველია, ორცვლიანია. ამას გარდა გამოუყენებელი გვრჩება მრავალი სასწავლო თვალსაჩინოება, ხელსაწყოები. კაბინეტ-ლაბორატორიების უქონლობის გამო აუთვისებელ გვაქვს შენახული მხარეთმცოდნეობის მუზეუმისათვის შეგროვილი მდიდარი კოლექცია.

ზვარე ხომ საკურორტო ადგილია. ყოველწლიურად ექვ�ასზე მეტი ბავშვი ჩამოდის აქ პიონერთა ბანაკში. გაოცებულები უყურებენ ხოლმე სკოლის შენობის დახავსებულ კედლებს, ალბათ ეცოდებათ თანატოლები, რომლებიც აქ სწავლობენ.

ვინმეს არ ეგონოს, რომ მარტო ზვარელი მოსწავლე-ახალგაზრდობაა ამ დღეში. წიფის საშუალო სკოლა სულ ხუთ ოთახში მუშაობს. სკოლის შენობას უკვე სამი წელია აშენებენ და ჯერ ბოლავარიც არ არის მოთავებული. ავარიულ მდგომარეობაშია ვაშლევის საშუალო სკოლაც. გამკითხავი კი არსაიდან ჩანს.

მოსწავლეები ხშირად გვეკითხებიან მასწავლებლებს, როდის აგვაშენებენ ახალ შენობასო. რა ვუპასუხოთ? მალე აგიშენებენთქო? ტყუილი გამოგვივა. თქვენი ძველი სკოლის შენობა არავის აფიქრებს-თქო, არ გვინდა გული ვატკინოთ მათ. სხვა პასუხი კი არ გაგვაჩნია. ამიტომ დუმილს ვარჩევთ.

იმის შემდეგ, რაც პარტიული ორგანიზაციის კრებაზე ხმის ამოუღებლობა ვიჩრჩიე, ბევრს ვფიქრობ. მე მწამს, რომ კომუნისტი ბოლომდე პრინციპული, იმ საქმისათვის დაუღალავი მებრძოლი უნდა იყოს, რომლის ჭეშმარიტებაც სწამს, რომ გაჩუმება ვერაფერიშვილი გამოსავალია, რომ ეს სწორედ მათ წისქვილზე ასხამს წყალს, ვისაც ხელის გამოღება ეკალება. ამიტომ გადაწყვიტე, არათუ არ გავჩუმებულიყავი, არამედ ისეთი ტრიბუნიდან მეთქვა ჩემი სათქმელი, როგორიც გაზეთი „კომუნისტია“. გაჩუმება მაშინ, როდესაც საქმე ახალგაზრდობის აღზრდის მეტისმეტად პასუხსაგებ საკითხს ეხება, დანაშაულის ტოლფასია.

გასაკვირი არ არის, რომ პარტორგანიზაციის კრებაზე ნათქვამი მათ ყურამდე ვერ აღწევდეს, ვისაც იგი ეხება. მეც და ჩემი მოსწავლეებიც ვიმედოვნებთ, რომ გაზეთის გამოსვლის შემდეგ მაინც ჩვენს სასარგებლოდ გადაიჭრება ოსმეველოდ გაჭიანურებული საქმე. იქნებ დადგეს დრო, როდესაც მოსწავლის შეკითხვაზე, თუ რიდის უქნებათ ახალი სკოლის შენობა, მასწავლებლებმა თამამად გაცალონ პასუხი: მალე, ძალიან მალე.

ე. ბიძინაშვილი,
ორჯონიკიძის რაიონის ზვარეს საშუალო სკოლის მასწავლებელი, სკკპ წევრი.

რატომ არ გამოვედი კრებაზე?

ავტომატიზებული სისტემა „რთველი“

თელავი. (საკ. კორ.). აქ გაიმართა თათბირი, რომელმაც განიხილა „კახეთის რაიონებში ყურძნის კრეფის, ტრანსპორტირებისა და ჩაბარების პროცესთა მართვის ავტომატიზებული სისტემის „რთველის“ დანერგვის შესახებ“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მთელ რესპუბლიკაში პრაქტიკული განხორციელების საკითხი. თათბირს დაესწრნენ კახეთის ზონის რაიონების პარტიის რაიკომების მდივნები, სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომების თავმჯდომარეები, სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოების უფროსები, „სამტრესტის“ ღვინის ქარხანათა გაერთიანებების და თელავის რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი მუშაკები,

თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ჯ. პატიაშვილმა. მან ხაზი გაუსვა აღნიშნული დადგენილების მნიშვნელობას ყურძნის მოსავლის შემჭიდროებულ ვადებში და უდანაკარგოდ დაბინავების საქმეში. თელავისა და ყვარლის რაიონებში რთველის ავტომატიზებული სისტემის ორი წლის გამოცდილებამ ცხადყო, რომ ყურძნის მოსავლის აღების დროს საგრძნობლად შემცირდა მოთხოვნილება ავტოტრანსპორტზე, გაიზარდა მკრეფავთა შრომის ნაყოფიერება, შემოკლდა რთველის ხანგრძლივობა, გაუმჯობესდა პირველადი ღვინომასალის ხარისხი და, რაც მთავარია, უკეთ მოეწყო შრომის ორგანიზაცია.

ამ დადებითი გამოცდილების თაობაზე ვრცლად ისაუბრა ორგანიზაციისა და მართვის პრობლემების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დირექტორმა, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატმა ლ. გიგინეიშვილმა.

საქართველოს კომპარტიის თელავის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. კობაიძემ, შალფარის სანერგე სახელმწიფო მეურნეობის დირექტორმა, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატმა ი. მესტვირიშვილმა, „სამტრესტის“ თელავის ღვინის ქარხანათა გაერთიანების გენერალურმა დირექტორმა ჯ. ჩოხელმა, ნიფარეულის ღვინის ქარხნის წარმოების უფროსმა მ. ხიდიშელმა თათბირის მონაწილეებს გააცნეს სისტემა „რთველის“ ეფექტიანობის კონკრეტული მაგალითები.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ი. გვერდწითელი, „საქსახსოფლტექნიკის“ რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე დ. სარიშვილი, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და კავშირგაბმულობის მინისტრების პირველი მოადგილეები გ. ყიფიანი და ბ. ბოჭორიშვილი, და სხვები.

თათბირმა დასახა კონკრეტული ღონისძიებანი რესპუბლიკის მეგენახეობის საზოგადოებრივ გაერთიანებებში რთველის ავტომატიზებული მართვის სისტემის მასობრივი დანერგვისათვის.

დ. გეგეშიძე.

სეტყვა ახმეტაში

ახმეტა, 12 მაისი. (საქინფორმის კორ.). წლევანდელმა გაზაფხულმა მიწათმოქმედებს მორიგი „სიურპრიზი“ მოუმზადა. ხანგრძლივი წვიმების შემდეგ 7 მაისს 23 საათსა და 15 წუთზე აქ სეტყვა მოვიდა. მან დიდი ზიანი მიაყენა მატნის, ზემო ალვანის, ახმეტის საბჭოთა მეურნეობების, ახმეტის სახელმწიფო სანერგე მეურნეობის ხვრეს, ხეხილის ბაღებს. პურის ყანებს. მთლიანად განადგურდა 200 ჰექტარი ვენახი მატნის საბჭოთა მეურნეობაში, ამდენივე 70-80 პროცენტით დაზიანდა.

პარტიის რაიკომის პირველი მდივნის ვ. ბატიაშვილის ხელმძღვანელობით შეიქმნა სტიქიური უბედურების შედეგების სალიკვიდაციო შტაბი.

ხორციელდება სეტყვის მიერ მიყენებული ზარალის ანაზღაურების გადამწყვეტი ღონისძიებანი. სხლავენ ვენახებს, ბარავენ და ამდიდრებენ ნიადაგს, წმლავენ ვაზს.

საერთაშორისო ცხოვრების ქრონიკა

● **ბელგრადი.** იუგოსლავიის ქალაქ ნოვი-სადში გაიხსნა ტრადიციული საერთაშორისო სასოფლო-სამეურნეო ბაზრობა, რომელშიც 56 ქვეყანა მონაწილეობს, ბაზრობის პავილიონებსა და ღია მოედნებზე წარმოდგენილია კომბაინები, ტრაქტორები და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანები, მეცხოველეობისა და მემცენარეობის პროდუქციის ნიმუშები.

● **სტოკჰოლმი.** დამთავრდა შვეიცის მთელი ომის შემდგომი ისტორიის მანძილზე უდიდესი შრომითი კონფლიქტი, რომელშიც დაახლოებით მილიონი კაცი მონაწილეობდა, დადებულია ახალი კოლექტიური ხელშეკრულება ქვეყნის ეკონომიკის კერძო სექტორში, აგრეთვე შეთანხმება სახელმწიფო და საზოგადოებრივ სექტორში. მშრომელებმა მიაღწიეს ხელფასის მომატებას.

● **თეირანი.** რელიგიური მოღვაწის აიათოლა ხალხალის განკარგულებით ირანის დედაქალაქის სამხრეთ ნაწილში ააფეთქეს დამხობილი ირანის შაჰის მამის მავზოლეუმი, რომელიც ყოფილი შაჰის რეჟიმის ერთ-ერთ მთავარ მონუმენტად ითვლებოდა.

● **ტოკიო.** ბირთვული იარაღის სრული აკრძალვისათვის ბრძოლის ლიზუნგებით დაიწყო იაპონიაში მშვიდობის ინტერნაციონალური მარში. მისი მონაწილენი — სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლნი — სამი თვის განმავლობაში გაიარეს ათას კილომეტრზე მეტს და მივლენ ხიროსიმაში ამერიკის მხედრიონის მიერ ქალაქის ბარბაროსული ატომური დაბომბვის 35-ე წლისთავის წინა დღით. მარშის დაწყებისადმი მიძღვნილ მიტინგზე ტოკიოს იუმენოსიმის პარკში შეიკრიბა ასიათასობით იაპონელი მუშა, დემოკრატიული საზოგადოებრიობის, რელიგიური წრეების წარმომადგენელი. მათ მსოფლიოს ხალხებს მოუწოდეს ყოველი ღონე იხმარონ, რათა სრულიად აკრძალოს მასობრივი მოსპობის მომაკვდინებელი იარაღი.

მშვიდობისათვის მებრძოლთა ხმა

ბუდაპეშტი, 12 მაისი. აქ მუშაობა დაამთავრა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეზიდიუმის სესიამ.

საბოლოო პლენარულ სხდომაზე 75 ქვეყნის საზოგადოებრიობისა და 12 საერთაშორისო ორგანიზაციის თითქმის სამასმა წარმომადგენელმა მიიღო მომართვა: „ყურადღება: ომის საფრთხე შეიქმნა!“

მსოფლიოს ხალხებს აბუჩად იგდებენ: ყოველნაირად უშლიან ხელს დაძაბულობის შენელებას, სულ უფრო აძლიერებენ გამალებულ შეიარაღებას, რაც გზას უხსნის ომს. ყოველივე ამას საკადრისი პასუხი უნდა გავცეთ: უნდა განვაახლოთ დიალოგი, აღვადგინოთ ურთიერთნდობა, მტკიცედ ვიმოქმედოთ.

სწორედ ჰიტლერულ ფაშიზმზე გამარჯვებისა და ევროპაში მეორე მსოფლიო ომის დამთავრების 35-ე წლისთავზე მშვიდობის მსოფლიო საბჭო მიმართავს ყველას, ვინც ნანგრევებსა და ნახანძრალზე დებდა ფიცს ყველაფერი ეღონა, რათა არ დაეშვა ახალი ომი, ყველას, ვინც ილაშქრებს გამალებული შეიარაღების უგნურობის წინააღმდეგ; ყველას, ვინც შეშფოთებულია საერთაშორისო ურთიერთობაში ძალის პოლიტიკის აღდგენით; ახალგაზრდობას, რომელიც იცავს მშვიდობიანი მომავლის უფლებას; მსოფლიოს ხალხებსა და მთავრობებს.

ყურადღება: ომის საფრთხე შეიქმნა!

მაგრამ ომი გარდაუვალი როდია. დღეს ჯერ კიდევ შეიძლება გამალებული შეიარაღების შეჩერება და, უწინარეს ყოვლისა, ცენტრალურ ევროპაში ახალი ბირთვული არსენალების განლაგების თავიდან აცილება. სანამ ვერიან ან არის, საჭიროა აღიკვეთოს მუქარისა და ძალადობის, ემბარგოსა და ბოიკოტის, ბლოკადებისა და შეიარაღებ უ ლ ი პროვოკაციების პოლიტიკა.

სესიის მონაწილეთა მიერ ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხზე მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია: „წარსულის გაკვეთილები საკმაებით ნათელია: ადარ უნდა დავუშვათ, რომ გამანადგურებელმა ომებმა სახე უცვალონ ჩვენს პლანეტას. 1975 წელს სრულიად ევროპის თათბირის საბოლოო აქტის ხელმოწერა ნიშანსვეტი იყო ევროპაში თანამშრომლობისა და უშიშროების გზაზე. მაგრამ უკვე ხელმოწერის მომენტში გარკვეულმა ძალებმა მიზნად დაისახეს აეღორძინებინათ „ცივი ომის“ სულისკვეთება. ევროპაში დაძაბულობის შენელებას ემუქრება სერიოზული საფრთხე, რომლის მთავარი მიზეზებია ამერიკის შეერთებული შტატების მიერ სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ხელშეკრულების რატიფიკაციაზე უარის თქმა და ნატოს უკანასკნელი გადწყვეტილებანი.

ამ სიტუაციაში საჭიროა მშვიდობისმოყვარე ძალების მოქმედების ფართო ერთიანობა ომის საფრთხის თავიდან აცილებისათვის.

მშვიდობის მომხრეთა მიზანია უზრუნველყონ, რომ მთლიანად განხორციელდეს ჰელსინკის საბოლოო აქტი; უარი თქვან ყოველგვარ წინასწარ პირობაზე ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებზე მადრიდის შეხვედრის მოწყობისას; მოაწყონ ეს შეხვედრა კონსტრუქციული სულისკვეთებით, ჰელსინკის რეკომენდაციების შესრულების მიმდინარეობის განხილვის საფუძველზე; მადრიდის ფორუმის შემდეგ მოაწყონ თათბირი ევროპაში სამხედრო დაძაბულობის შენელებისა და განიარაღების საკითხზე და მიაღწიონ პროგრესს ვენის მოლაპარაკებებზე; ყველაფერი იღონონ, რათა უარი ათქმევინონ ევროპაში „ფრთოსანი რაკეტებისა“ და „პერშინგ—2“ ტიპის რაკეტების განლაგებაზე; მიაღწიონ სტრატეგიული მეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ხელშეკრულების დაუყოვნებლივ რატიფიკაციას; დადონ შეთანხმება, რომ სრულიად ევროპის თათბირის მონაწილეებმა ერთმანეთის წინააღმდეგ არ გამოიყენონ ატომური და ჩვეულებრივი სახეობის შეიარაღება; მხარი დაუჭირონ გამოკვლევებსა და აქციებს, რომელთა მიზანია სამხედრო წარმოების მშვიდობიან ყაიდაზე გადაყვანა; შეინარჩუნონ და განვითარონ ევროპაში დამყარებული კონტაქტები, აგრეთვე ეკონომიკური, კულტურული, მეცნიერული და სპორტული თანამშრომლობა.

ყოველივე ეს, ხაზგასმულია რეზოლუციაში, ხელს შეუწყობს ევროპისა და მსოფლიოს საზოგადოებრიობის დარაზმას, მშვიდობისათვის მებრძოლ ხალხთა სოფიის მომავალი მსოფლიო პარლამენტის წარმატებას.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეზიდიუმის სესიის მონაწილეები მიიღო უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ი. კადარმა. შეხვედრის დროს გულითადი და მეგობრული საუბარი გაიმართა.

დედამიწის მშვიდობისმოყვარე საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა ბუდაპეშტის ფორუმმა კიდევ ერთხელ დამაჯერებლად ცხადყო ხალხთა მისწრაფება მშვიდობისადმი და მათი გადაწყვეტილება არ დაუშვან ახალი ომის კატასტროფა.

ფოტოინფორმაცია

აფრიკის კონტინენტზე შეიქმნა ორმოცდამეათე დამოუკიდებელი სახელმწიფო. ბრიტანული დროშის ნაცვლად სოლსბერში საზეიმო ვითარებაში აღმართეს ზიმბაბვეს დროშა. დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან დაკავშირებით მთელ ქვეყანაში გაიმართა მასობრივი ბანაკობა.

სურათზე: სოლსბერში გამართული ზეიმის მონაწილენი.

საკლესის ფოტო.

ანტისაბჭოურობის პრინციპით

პარიზი, 12 მაისი. პეკინი საერთაშორისო ასპარეზზე მეგობრობის შერჩევასას ანტისაბჭოური მოსაზრებებით ხელმძღვანელობს, — ასე ახასიათებს ჩინეთის ახლანდელი ხელმძღვანელობის საგარეო-პოლიტიკურ კურსს საფრანგეთში გამომავალი ჟურნალი „აფრიკა-აზია“.

ჩინეთის პრესა არ ესხმის თავს ოდიოზურ რეაქციულ რეჟიმებს, მათ შორის აპარტეიდის სამარცხვინო რეჟიმს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, აღნიშნავს ჟურნალი. ამის მიზეზია ის სანქციური იმედები, რომლებსაც პეკინი უკავშირებს რასისტულ სახელმწიფოსთან თანამშრომლობის გაფართოებას.

სამხედრო დარგში აპარტეიდის ქვეყანასთან კონტაქტების განვითარებას მაოისტი სტრატეგები, ისევე როგორც მათი დასავლელი მეგობრები, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ.

ამზადებენ ახალ პროვოკაციას

ლონდონი, 12 მაისი. ინგლისური გაზეთი „ობსერვერი“ დღეს იუწყება, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. კარტერმა მოიწონა გეგმა, რომლის მიხედვით ეგვიპტის ტერიტორია უნდა გამოიყენონ ძირითად ბაზად ეგრეთ წოდებულ „ელვისებური დამკვრელი ოპერაციების“ განსახორციელებლად ახლო და შუა აღმოსავლეთის ამ რაიონებში, სადაც, ამერიკის შეერთებული შტატების აზრით, საფრთხეშია მისი „ნავთობისა და სხვა სტრატეგიული ინტერესები“. „ელვისებურ დამკვრელ ოპერაციებში“, აღნიშნავს გაზეთი, მონაწილეობას მიიღებს 50 ათასამდე ამერიკელი ჯარისკაცი.

გაზეთი წერს, რომ ეს გეგმა, რომელიც წარმოადგენს ახალ კონცეფციას ამერიკის სამხედრო სტრატეგიაში“, ითვალისწინებს ეგვიპტეში ამერიკის დიდი სამხედრო ობიექტების, მათ შორის სამხედრო თვითმფრინავების, ტანკებისა და სარაკეტო დანადგარების შემკეთებელი და მომსახურე საწარმოების მშენებლობას. ეგვიპტეში იქმნება აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების დამკვრელი ძალების შტაბი ახლო აღმოსავლეთში.

ეგვიპტის ტერიტორიაზე ამერიკის ჯარების განლაგება, რასაც იუწყება ინგლისური გაზეთი, ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების მიერ ამ ქვეყნის ფაქტობრივი ოკუპაციის აქტი იქნება.

ეგვიპტეში ამერიკის შეიარაღებული ძალების განლაგება, თუ ეს რეალობად იქცა, კიდევ უფრო საშიშ სიტუაციას შექმნის ახლო და შუა აღმოსავლეთში. ყოველივე ამის მიზანი აშკარაა: შექმნან პირობები ზოგიერთი არაბული და მაჰმადიანური სახელმწიფოს შინაურ საქმეებში სამხედრო ჩარევისათვის.

„კომუნისტის“ მიმოხილვა

საერთო ყურადღება მიიპყრო იაპონიის პრემიერის მასაიოში ოჰირის ტურნემ ამერიკის კონტინენტზე. მართალია, ოჰირამ, ვაშინგტონის გარდა, კონტინენტის კიდევ ორი ქვეყნის დედაქალაქი (მეხიკო და ოტავა) მოინახულა, მაგრამ ბუნებრივია, რომ ყურადღების ცენტრში ძირითადად ვაშინგტონში გამართული მოლაპარაკებაა. თუმცა ოჰირას და კარტერის საუბრის დეტალები ჯერ არ გამოქვეყნებულა „დიდ პრესაში“, მაგრამ სპეციალისტები უკვე აანალიზებენ ვიზიტის შედეგებს. ეს იმიტომ, რომ ყველმ კარგად იცის თეთრი სახლის მთავარი პრეტენზია ტოკიოს მიმართ, გარდა ამისა, სულ თვე-ნახევრის წინათ ვაშინგტონში იყო — ოკეტა — იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრი. იაპონელ კოლეგასთან შეხვედრის დროს ს. ვენსმა, ჰ. ბრაუნმა და ზ. ბეჟინსკიმ დაუფარავად ჩამოაყალიბეს თავიანთი მოთხოვნები; საკითხი ძირითადად ეხება იაპონიის სამხედრო ხარჯების „განუწყვეტელ და მნიშვნელოვან ზრდას. პენტაგონს გადაუდებელ ამოცანად მიაჩნია იაპონიის სამხედრო ხარჯების გადიდება წელიწადში 4 ტრილიონ იენამდე, რაც ქვეყნის ეროვნული პროდუქციის 1 პროცენტს შეადგენს. ტოკიოსაგან მოითხოვენ, რომ იცოროს კომუნიკაციათა დაცვა წყნარ ოკეანეში, უზრუნველყოს ლაპერუზას, ცუგარუსა და კორეის სრუტეების ბლოკირება, თუ „საგანგებო ვითარება“ შეიქმნა.

სამხედრო ხარჯების ზრდას, ბუნებრივია, ადრე თუ გვიან ქვეყნის ეკონომიკურ სიმძლავრეთა ტრანსფორმაცია უნდა მოჰყვეს. მნიშვნელოვან ხვედრით წილს დაიკავებს სამხედრო მრეწველობა, რაც გარკვეული თვალსაზრისით თავისუფალი ამოსუნთქვის საშუალებას მისცემს კონკურენციით გაწამებულ ამერიკის შეერთებული შტატების მრეწველობას. უკვე ლაპარაკია ავიამშენებლის მშენებლობაზე, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ფლოტისათვის იქნება განკუთვნილი და ტანკების „ტ-74“-ის მასობრივ წარმოებაზე, რომლებიც, დასავლელ ექსპერტთა აზრით, ახლა ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში. ყოველივე ეს, როგორც ამერიკაში ვარაუდობენ, იაპონიის საგარეო-ეკონომიკური ექსპანსიის ტემპს შეანელებს.

იაპონიის პოტენციურმა შესაძლებლობებმა და შთამბეჭდავმა ტექნიკურმა პროგრესმაც განაპირობა ის ფაქტი, რომ ამომავალი მზის ქვეყნის მილიტარიზაციის პერსპექტივა დღეს საერთაშორისო წრეების ყურადღების ცენტრშია. აღნიშნული პრობლემისადმი მიძღვნილ ერთ წერილს ასე იწყებს ფრანგული „მონდი“: „ხომ არ არღვევს დღეს იაპონია 1945 წლის კაპიტულაციით დაწესებულ ვეტოს ხელახლა შეიარაღებაზე? ხომ არ ეყოლება იაპონიას ახლად დაწყებულ ათწლეულში თავისი ეკონომიკური სიძლიერის შესატყვისი შეიარაღებული ძალები?“. ფრანგული გაზეთის მიერ დასმული კითხვები არცთუ ისე უსაფუძვლოა. ამ რამდენიმე ხნის წინათ იაპონიის ფლოტმა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პირველად მიიღო მონაწილეობა დიდ სამხედრო მანევრებში წყნარ ოკეანეში („რიმპაკ-80“), ფილიპინების პრეზიდენტმა მარკოსმა კი სპეციალური წიგნი მიუძღვნა იაპონის ბირთვულ პოტენციალს. არ შეიძლება იმ ფაქტის უგულებელყოფა, რომ თავისი ბიუჯეტით იაპონის არმია მეექვსე ადგილზეა მსოფლიოში (9,5 მილიარდი დოლარი 1979 წელს).

კიდევ ერთი დამახასიათებელი დეტალი. როგორც ქვეყნის საზოგადოებრივი აზრის შესწავლა ცხადყოფს, მოსახლეობის უმრავლესობა (55 პროცენტი) მხარს უჭერს სამხედრო ძალების გაძლიერების იდეას. არც ერთი ოპოზიციური პარტია არ არის იმის წინააღმდეგი, რომ იაპონიას არმია ჰყავდეს, სადავო მხოლოდ ის არის, თუ რა ტემპით უნდა იზრდებოდეს სამხედრო ხარჯები და ზომაზე მეტად ფორსირებულ ტემპს ხომ არ მოითხოვენ ამერიკელები. ესეც ალბათ, ბედის ირონიაა — 30 წლის წინათ ამერიკამ მოახვია თავს იაპონელებს კონსტიტუცია, რომლის უგულებელყოფას დღეს თითონვე აიკრძალებს, მეორე „პარადოქსია“ პეკინის პოზიცია — სულ რამდენიმე წლის წინათ „იაპონიის მილიტარიზმი“ ჩინელი ხალხის ოთხ მთავარ მტერთან ერთად მოიხსენიებოდა. დღეს კი პეკინი ვაშინგტონთან ერთად მოითხოვს ტოკიოსაგან სამხედრო პოტენციალის ზრდას.

მართალია, მწვავე საშინაო პოლიტიკური მიზეზების გამო ირანის ოცამდე ქალაქში არ გამართულა პარლამენტის არჩევნების მეორე ტური, მაგრამ ზოგადი სურათი უკვე ნათელია — არჩევნებში გამარჯვება მოიპოვა ისლამური რესპუბლიკის პარტიამ. რას წარმოადგენს პარტია, რომელმაც უახლოეს დღეებში უნდა შეადგინოს შაჰის დამხობის შემდეგ პირველი მთავრობა და როგორია მისი პროგრამა?

უწინარესად უნდა აღინიშნოს, რომ იგი ჯერჯერობით ეყრდნობა არა საკუთარ პარტიულ სტრუქტურასა და პირველადს ორგანიზაციებს, არამედ მეჩეთებსა და მაჰმადიანურ სამღვდელოებას. მისი დამაარსებლები არიან — მოჰამედ ჯავად ბაჰონარი, მოჰამედ ბეჰეშტი (პარტიის ცენტრალური ბიუროს პირველი მდივანი), სეიდ აბდოლქერიმ მესგარი (გაზეთ „ჯომჰურიე ესლამის“ რედაქტორი) და ალი აკბარ ხაშემი-რაფსანჯანი.

მართალია, პარტიის რიგებში ძნელად მოიძებნება მრეწველობის, ეკონომიკის, სოფლის მეურნეობისა და სხვა დარგების მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, მაგრამ პარტიის ხელმძღვანელობამ უკვე შექმნა ეგრეთწოდებული კვლევითი ჯგუფები, რომლებიც ამზადებენ პარტიის პოლიტიკის საფუძვლების მთავარ საკითხებს.

გასულ კვირაში

☐ **ტოკიო-ვაშინგტონი: საშიში ფლირტი** ☐ **ირანი არჩევნების შემდეგ**

მომმხილველთა აზრით, ერთ-ერთი მთავარი საკითხი, რომლის წინაშეც აღმოჩნდება მთავრობა, ეს არის აგრარული საკითხი. ანტიშაჰური რევოლუციის პირველ დღეებშივე ირანის მთელ ერ სასოფლო-სამეურნეო რაიონებში დაიწყო მიწების მასობრივი თვითნებური ექსპროპრიაცია. სტიქიურად იქმნებოდა რევოლუციური კომიტეტები და გლეხთა საბჭოები, რომლებიც მემამულეებე დემოკრატიული ძალების მხარდაჭერით შეუდგნენ მსხვილ მემამულეთა მიწების კონფისკაციას და უმიწაწყლო გლეხობას შორის მათ განაწილებას. ზოგ რაიონში მოსახლეობის ასეთ მოქმედებას წინ აღუდგა მთავრობა. თურქმენებით დასახლებულ რაიონებში საქმე სისხლისმღვრელ შეტაკებებამდეც კი მივიდა. რაც შეეხებათ რევოლუციის ლიდერებსა და თვითონ აიათოლა ხომეინის, ისინი ერძოო საკუთრების დამცველთა როლში გამოვიდნენ და მოსახლეობას გულმოდგინედ უხსნიდნენ, ყურანი ერძოო საკუთრების ხელშეუვალობასა ცნობსო.

პარტიის ერთ-ერთი ლიდერის რაფსანჯანის განცხადებით, პარტია განახორციელებს ისლამის პრინციპს — „მიწა იმათ, ვინც მას ამუშავებს“. მაგრამ ეს არ ნიშნავს, თითქოს უმიწაწყლო გლეხობა დაუყოვნებლივ მიიღებს მიწას. პარტიას ეს მომავლის საქმედ მიაჩნია. მიწის კონფისკაცია არ მოხდება, მიწებს გამოისყიდიან.

საერთო ყურადღების ცენტრშია საგარეო-პოლიტიკის კურსი. მისი ძირითადი პრინციპებია: ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სამხედრო დამოუკიდებლობის სრული შენარჩუნება; სხვა ერების დამოუკიდებლობისა და თავისუფლების პატივისცემა; მთელ მუსლიმანურ სამყაროსთან კულტურულ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ სფეროში ძმური კავშირის გაფართოება და განმტკიცება; შეგობრული, პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური ურთიერთობის დამყარება ყველა ერთან, რომელიც არ ცდილობს თავისი ბატონობა მოახვიოს თავს სხვა ერს და ავრესია. განახორციელოს ისლამური სამყაროს მიმართ; ყოველმხრივი დახმარება თავისუფლებისათვის და სამართლიანობისათვის მებრძოლ ხალხებს.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ პარტიის თითქმის ყველა ლიდერი ერთსულოვნად მოითხოვს კაპიტალისტური სამყაროსგან სრულ დამოუკიდებლობას. როგორც მიმომხილველები ვარაუდობენ, სწორედ ისლამური რესპუბლიკის პარტია შეადგენს პირველ კაბინეტს. ბევრს წერენ ახლა დასავლეთში აგრეთვე მომავალ პრემიერსა და პრეზიდენტს შორის გარდაუვალ წინააღმდეგობებზე. როგორც ცნობილია, პრეზიდენტი ბანისადრი არც მომავალი მმართველი პარტიის წევრია, და არც პოლიტიკაში სამოვდელოების აქტიური როლით არის აღფრთოვანებული. უახლოესი მომავალი გვიჩვენებს, თუ როგორ განვითარდება საშინაო-პოლიტიკური მოვლენები ირანში.

ს. ცინცაძე,
ჩვენი პოლიტიკური მიმოხილველი.

...ნ ...ROMOBA ...ვენს გვერდით?

...ოქრო-ხელა ...ოსტატი

...ქორწილი დუშეთში, ...ბორ-...ი გადავიხადე. მოგეხსენებათ, ...ეთ დროს ბევრი კურიოზი ...ება ხოლმე და არც ჩემი ქო-...ილი აოფილა გამონაკლისი. ...ამ დღეს ბოპორტში ჩემს სეხ-...ასთან და მოგვარესთან — მე-...ე თამარ ზეკიძესთანაც ქორ-...ილი იყო. ჩემი სტუმრები იმის ...ბილს მისდგომიან. პატარძალი ...ამ ვერ შეუცნიათ, საჩუქრები ...ამოუკრეფიათ და უკანვე წამო-...ოათ, მაგრამ ყვავილები კი და-...ტოვებიათ.

— ყვავილები შენზე ახალგაზ-...ა პატარძლისთვის უფრო უა-...ანი იყოო, — მეხუმრებოდნენ ...ერე.

...ამ ამბავს შემოხვევით არ ვიხ-...ენებ. ამით აი, რისი თქმა მინ-...ს:

...ზარად, როცა კოლექტივი სი-...ოსა და ყურადღებას მოგაგე-...ებს, უზომოდ გაგახარებს, ეს ...ალაცის მაორგანიზებელი და და-...ალარელი ბუნების შემწეობითაც ...ება ხოლმე. ალბათ, დაჭკვირე-...ართ, წვრილმანსა თუ დიდ სა-...�ში კოლექტივს ყოველთვის ...ერდება თანამოაზრეთა შემ-...ები მეთაური. ასეთი წინამძ-...ოლი ჩვენს ბრიგადაში ნუნუ ...ორია გახლავთ.

...რიცა მთელი ბრიგადა ასე ლა-...ად, ხელდამშვენებული მოვი-...ა, სიამაყის გრძნობა გამიჩნდა: ...ამ კოლექტივის სახით პატრონი ...ქმაგი წარმომდგა და მე ...ინვე ნუნუს „ხელწერა“ შევი-...ანი და არც შევმცდარვარ.

...ერთგულება ადამიანის ხასიათ-...ი, რომელსაც იგი ყველაფერში ...ელენს, სხვებისადმი დამოკიდე-...ულებაში, მუშაობაში.

...ობილისის ორჯონიკიძის სახე-...ლობის სამკერვალო ფაბრიკაში ...ანავე რომ ბევრია, თავად ...ერმუნდებით, როცა გეტყვით, ...ამ 1200 მუშიდან 1030 კომუ-...ისტური შრომის დამკვრელია. ...ეს გასაკვირია, რომ თვით თვე-...ი წარმოებაც 1967 წლიდან კო-...ნსტბურო შრომის დამკვრელის ...ელს ატარებს. არც ის არის ...ეთხვევი, რომ ფაბრიკის ნა-...ში მყიდველს დიდად მოს-...ონს. ჩვენი რესპუბლიკის მსუბუ-...ი მრეწველობის სისტემაში პი-...ელად 1971 წელს ამ ფაბრიკის ...ოდელს სახელმწიფო ხარის-...ო ნიშანი მიენიჭა, წელს კი ას-...ი ნიშანი 24 მოდელს აქვს.

...საწარმო სპეციალიზებულია და ...ავს მხოლოდ ქალის ზედა ტა-...ცმელს, ბაგისა და სკოლამდე-...ი ასაკის ბავშვთა შალის კა-...ებს, რომლებზეც დიდი მოთხო-...ა.

...ყველა ეს მონაცემი კარგად ...ასიათებს ფაბრიკის მუშათა ...ასს. მისი უმეტესობაც თავისი ...ქმის ოსტატია და მუშური გა-...ეცით შრომობს.

...ნუნუ, როგორც ჩვეულებრივ ...ება, პროფტექნიკური სასწავ-...ებლის დამთავრების შემდეგ ...ოსა და ყურადღებას მოგაგე-...ებს, უზომოდ გაგახარებს, ეს ...ალაცის მაორგანიზებელი და და-...ალარელი ბუნების შემწეობითაც ...ება ხოლმე. ალბათ, დაჭკვირე-...ართ, წვრილმანსა თუ დიდ სა-...ქმე

ფოტოინფორმაცია

ჯილდომ მეომარი იპოვა

ბეგეჯკორი. (საკ. კორ. ბ. მილუტინი). სოფელ ნახუნოს საშუალო სკოლის მასწავლებელი ი. ცანავა დიდი სამამულო ომის მონაწილეა. ერთ-ერთი შეტაკებისას, იგი მძიმედაც დაჭრილა. განკურნების შემდეგ კი მშობლიურ სოფელს დაუბრუნდა.

206-ე მსროლელი ბატალიონის ათეულის მეთაური ი. ცანავა ბრძოლებში გამოჩენილი ვაჟკაცობისათვის მამაცობის მედლით დაჯილდოებიათ. ეს ჯილდო 35 წელიწადს ეძებდა თავის პატრონს. და აი, ახლახან რაიონის სამხედრო კომისარმა პოდპოლკოვნიკმა რ. დარჩიამ საზეიმო ვითარებაში გადასცა მედალი ნახუნოელ პედაგოგს.

აუღერდება ხალხური მელოდიები

ხარაჩოებით შეიმოსა თბილისში ხეთაგუროვის ქუჩაზე მდებარე წმინდა ნიკოლოზის ეკლესია (XVII-XVIII სს). რესტავრაციის შემდეგ ეკლესია გადაიქცევა საკონცერტო დარბაზად, სადაც აჟღერდება ქართული ხალხური მელოდიები.

სამუშაოებს ასრულებენ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს არქიტექტურის ძეგლთა დაცვის სამმართველოს სპეციალისტები. ისინი ცისფრად მოაჭიქურებენ გუმბათს, ხოლო ეკვდერებს კრამიტით გადახურავენ. საარქივო მონაცემები მოწმობს, რომ ინტერიერის მოხატულობა ეკუთვნის ქართველ მხატვარს გიგო ზაზიაშვილს.

ეკლესიის რეკონსტრუქცია მიმდინარე წლის შემოდგომისათვის დამთავრდება. (საქინფორმი).

სტიუარდესა სამოგზაუროდ გვიწვევს...

საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს ბორტგამცილებელმა ნანა ნადირაშვილმა გაიმარჯვა რესპუბლიკურ შეჯიბრებებში და ახლა მოსკოვში ავიატორების სრულიად საკავშირო კონკურსზე საქართველო წარმოადგინა.

... სამი წლის წინათ თბილისის მანქანათსაშენებელი ტექნიკუმის წარჩინებით დამთავრების შემდეგ გოგონამ გადაწყვიტა ბორტგამცილებლის კურსებზე ჩაებარებინა.

დღეს ნ. ნადირაშვილი უკვე გამოცდილი სტიუარდესაა.

ქალაქსაბჭოს კარგი ავტორიტეტი აქვს ავიატორთა კოლექტივში. იგი ქალაქის საბჭოს დეპუტატია.

ამ დღეებში ქალიშვილის ცხოვრებაში ღირსშესანიშნავი მოვლენა მოხდა, იგი სკკპ წევრობის კანდიდატი გახდა.

სურათზე: მორიგ რეისში მიდის ნანა ნადირაშვილი — ავიატორთა რესპუბლიკური კონკურსის გამარჯვებული.

პ. იუხანოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

თბილისელთა პროექტებით

ტუაფსე - ნოვოროსიისკის ტრასაზე დაბა ნებუგში ტიუმენ-გაზმრეწვის მუშებისა და მოსამსახურეებისათვის მალე აღიმართება 2000-ადგილიანი ახალი კეთილმოწყობილი პანსიონატი. მისი პროექტი შექმნეს თბილისის საცხოვრებელი საზოგადოებრივი შენობების ტიპობრივი და ექსპერიმენტული დაპროექტების ზონალური სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტის სპეციალისტებმა.



სურათზე: პროექტის მთავარი არქიტექტორი რომან პავლიაშვილი, № 4 არქიტექტურული სახელოსნოს ხელმძღვანელი დმიტრი ოდიშარია და პროექტის მთავარი არქიტექტორი სამსონ მელაშვილი.

შ. კრიმსკის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

თუ გული გულობს...

როცა გუნდს ერთბაშად სამი ძირითადი მოთამაშე აკლია, და თანაც ისეთი მაღალი კლასისა, როგორიც მანუჩარ მაჩაიძე, გეცაევი და დარასელია არიან, ცხადია, მის წინაშე პრობლემათა წყება წარმოიქმნება ხოლმე. ცსკა-სთან თბილისში კვირას გამართულ მატჩში თბილისის „დინამომ“ არათუ გარკვეულწილად დაძლია წამოჭრილი პრობლემები, უფრო მეტიც, მეტოქეებს ორგანიზებული კოლექტივის სახით შეუვალ ზღუდედ და, რაც მთავარია, ერთთავად მოიერიშე გუნდად მოევლინა.

ასეთ პირობებში ძირითადად დაცვაზე ზრუნვა მოსკოველ არმიელთა ხვედრი აღმოჩნდა, თბილისელებმა კი თამაშის სწრაფი ტემპითა და განუწყვეტელი იერიშებით მეტოქეებს მინდვრის შუაგულში ფართოდ მანევრირების საშუალებაც მოუსპეს და საკონტრიერიშო შესაძლებლობანიც მინიმუმამდე შეუმცირეს. მოედნის ცენტრის მისადგომებიდან წამოწყებული იერიში, მისი შემდგომი განვითარება და უკვე მეტოქეთა საჯარიმო მოედანზე ამ იერიშის კიდევ უფრო გამწვავება ფეხბურთელისაგან ძალების უაღრეს დაძაბვას მოითხოვს. ყიფიანმა ამ ფუნქციას შესანიშნავად გაართვა თავი. იგი არც პარტნიორებმა დააღალატეს, უმეტესწილად კარგად უღებდნენ ალღოს მის ტაქტიკურ ჩანაფიქრებს და არმიელები ერთთავად ხიფათის ზღვარზე ჰყავდათ. ყოველივე ეს საბოლოოდ ორი გოლით დაგვირგვინდა (24-ე და 37-ე წუთებზე). ორივეჯერ თანაატორი ყიფიანი გახლდათ. პირველად, როცა ყიფიან-ჩელებაძის ბრწყინვალედ გათამაშებული ოთხსვლიანი კომბინაციის შემდეგ ამ უკანასკნელმა ერთობ რთულ ვითარებაში აიღო არმიელთა კარი, მეორედ კი, როცა მეტოქე მცველთა გარემოცვაში მყოფმა შეხვედრამ ყიფიანისაგან მიიღო ბურთი და ალბათ ერთადერთი სწორი გადაწყვეტა აირჩია: ოსტატურად „აკენწლა“ ბურთი და შემოტრიალებით ერთობ ეფექტური გოლი გაიტანა.

„დინამომ“ მეორე ტაიმში მოპოვებული წარმატების ბოლომდე შენარჩუნების ტაქტიკა აირჩია და საწყადესაც მიაღწია. თუმცა ერთხელ (71-ე წუთზე) 11-მეტრიანი საჯარიმო ჩელებაძეს რომ უფრო ზუსტად დაერტყა, ანგარიში სხვაობაც გაიზრდებოდა.

ახლა იმ არასწორ და ჭეშმარიტი სპორტსმენისათვის შეუფერებელი თამაშის ტაქტიკაზე, რომელიც არმიელებმა მატჩის დასაწყისში თბილისელთა გაშლილი ფრონტით იერიშებს დაუპირისპირეს. ისინი სარმითა (გიახსენეთ ბელენკოვის მიერ მინდვრის შუაგულში ერთობ სახიფათოდ წაქცეული ყიფიანი) თუ სხვა უხეში ილეთებით საკონფლიქტო სიტუაციათა პროვოცირების გზით ცდილობდნენ მასპინძელთა იერიშების ჩაშლას, და ამ დროს რატომღაც მსაჯიც ლიბერალობას იჩენდა. დინამოელები არ აჰყვნენ მეტოქეებს, თავის ძალებში დარწმუნებულებმა შეუდრეკლად გაგრძელეს თამაში და აკი გაიმარჯვეს კიდეც — 2:0.

ვიმეორებთ, თბილისის „დინამომ“ ერთობ შესუსტებული შემადგენლობით იმარჯვა. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ სხვადასხვა გარემოებათა გამო შექმნილი სიძნელეები დინამოელებმა ამ ერთი მატჩით გააუვნებლეს. საჭიროა კიდევ უფრო მეტად მობილიზება, ამყარდა არსებული ძალების კიდევ უფრო სრულად გამოვლენა. ფიზიკური გამძლეობის ამაღლება, უხეში თამაშისადმი გულგრილი დამოკიდებულების დაპირისპირება, და ამა თუ იმ მეტოქე გუნდის ძალების შეუმცდარი შეფასებაც.

„დინამომ“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: გაბელია, კოსტავა, ჩიკვაძე, ხინჩაგაშვილი, გ. მაჩაიძე, (კობალეიშვილი), მინაშვილი, ჯილაია, სულაქველიძე, შენგელია, ყიფიანი, ჩელებაძე (თავაძე).

ჯ. ენუქიძე.

სხვა მატჩები

უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეშვიდე ტურის სხვა მატჩები ასე დამთავრდა:

„ჩერნომორ.“-„მახტაორი“ — 1:1
„კარპატი“-„დინამო“ კ. — 2:4
„ზენიტი“-„ყუბანი“ — 2:0
„დინამო“ მ.-„დინამო“ მნ. — 1:1
„სპარტაკი“-„ყაირათი“ — 3:0
ასკ რ.-რ.-„ნეფთჩი“ — 3:0

გათამაშების ცხრილი

უმაღლესი ლიგა

მდგომარეობა 18 მაისისათვის					
	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“	4	2	1	10-2	10
„დინამო“ კ.	4	2	1	15-8	10
„ზენიტი“	4	2	1	10-6	10
„დინამო“ თბ.	3	3	1	9-4	9
„დინამო“ მ.	3	2	2	7-6	8
„ფახთაქორი“	3	2	2	9-6	8
„დინამო“ მნ.	2	4	1	9-5	8
ასკ	2	4	1	8-6	8
„არარატი“	2	4	1	7-6	8
„შახტიორი“	2	3	2	10-9	7
„ლოკომოტივი“	2	3	2	8-7	7
„ტორპედო“	2	2	3	3-5	6
„ჩერნომორეცი“	1	4	2	3-5	6
ცსკა	2	1	4	5-12	5
„ყაირათი“	1	3	3	7-12	5
„კარპატი“	1	2	4	5-13	4
„ყუბანი“	0	4	3	3-7	4
„ნეფთჩი“	0	3	4	3-12	3

სხვა ლიგებში

გუშინ გაიმართა პირველი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების მეათე ტურის მატჩები. ლენინგრადში „ბურევესტნიკმა“ „ბალტიკა“ — 3:2. ლენინგრადელთაგან 2 ბურთი (ერთი პენალტი) გაიტანა ტროიანმა, 1 — მეგრელაძემ. ქუთაისში „ტორპედომ“ მოუგო ჯიზაკის „ბუსტონს“ — 2:0.

გაიმართა მეორე ლიგის მეცხრე ზონის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო შეჯიბრების მეხუთე ტურის შეხვედრები. ამ ზონაში მოასპარეზე საქართველოს გუნდებმა თავიანთი მატჩები ასე დამთავრეს: სამტრედიის „ლოკომოტივი“-კიროვაბადის „პროგრესი“ — 2:0, გორის „დილა“-რუსთავის „მეტალურგი“ — 5:0, ფოთის „კოლხეთი“-ბათუმის „დინამო“ — 2:1, სოხუმის „დინამო“-ზუგდიდის „დინამო“ — 1:0.



სურათზე: დ. კვაშაძე.

ქველოგას გიქებთ!

დავით კვაშაძე სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონია

კრივში ქომაგებს ახსოვთ, რომ არცთუ დიდი ხნის წინათ ჩვენმა სახელოვანმა სპორტსმენმა დავით კვაშაძემ რინგი მიატოვა და მწვრთნელის საქმიანობას მოჰკიდა ხელი. მაგრამ კვლავ სარბიელისკენ გაუწია გულმა, ოლიმპიადადმი რეპუბლიკის ღირსების დაცვის წყურვილმაც სძლია და სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის“ მართლაც სამაყო წევრი რინგს დაუბრუნდა. და აი, ახალი წარმატება: განვლილ კვირა დღეს დონის როსტოვში საკავშირო ჩემპიონატის ფინალურ ორთაბრძოლაში სძლია არმიელ ვ. შინს და უკვე მესამედ დაეუფლა ქვეყნის ჩემპიონის წოდებას. დონის როსტოვში გამართულ ასპარეზობაზე 81 კილოგრამამდე წონის კატეგორიაში მისი მძლეველი არავინ იყო. მან ფინალამდე შესაბამისად ჯობა არმიელ ვ. პუმბოლოვს, „შრომითი რეზერვების“ წარმომადგენელს გ. ზინკოვიჩს და არმიელ ა. კრუპინს.

ქართველ მოკრივეთაგან დავით კვაშაძე ერთადერთია, რომელმაც სსრ კავშირის ჩემპიონობა სამჯერ მოიხვეჭა, იგი ერთადერთია საქართველოდან, რომელმაც ევროპის ჩემპიონატში უძლიერესის სახელიც დაისაკუთრა.

ქველობას გიქებთ დავით! ახლა ჯერი უკვე საბჭოთა ოლიმპიურ ნაკრებში ადგილის კიდევ უფრო განმტკიცებაზეა. მაშ ასე, პირველი ზღუდე გადაილახა. ბეჯითი შრომა, საგულდაგულო ვარჯიში დავითისთვის უცხო ხელი როდია, და ამიტომ გვჯერა, რომ ოლიმპიადამდე დარჩენილ დღეებს იგი ნაყოფიერად გამოიყენებს და შეეცდება კვლავაც გვასახელოს!

და კიდევ ერთი სასიხარულო ცნობა დონის როსტოვიდან: 71 კილოგრამამდე წონითი კატეგორიის მოკრივეთა შორის სპორტსაზოგადოება „განთიადის“ წევრი, თბილისელი მურმან თაქთაქიშვილი ბრინჯაოს მედლით დაჯილდოდა. თაქთაქიშვილიც საბჭოთა ოლიმპიური ნაკრების კანდიდატია და მას ჯერ კიდევ არ დაუკარგავს ნაკრებში საბოლოოდ დამკვიდრების იმედი.

გაიცანით დანარჩენ წონითს კატეგორიებში სსრ კავშირის ჩემპიონთა ვინაობა: შ. საბიროკი (კრასნოდარი, 48 კგ-მდე წონა), ვ. მირონშინჩენკო (დონეცკი, 51), ს. ხაჩატრიანი (კიროვაკანი, 54), ვ. რიბაკოვი (მოსკოვი, 57), ვ. დემიანენკო (ალმა-ათა, 60), ს. კონაკბაევი (ჯამბული, 63,5), ბ. ბალკინი (კოპეისკი, 67), გ. კურგანი (მოსკოვის ოლქი, 71), ვ. საჯჩენკო (დნეპროპეტროვსკი, 75), ბ. ზაევი (მოსკოვი, 81 კგ-ს ზევით).

გმირის ხსოვნისა

სოხუმში დამთავრდა სსრ კავშირის გმირის, გენერალ-პოლკოვნიკ კონსტანტინე ლესელიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საკავშირო ტურნირი კრივში. ამ ტრადიციულ ასპარეზობაში წონითი კატეგორიების მიხედვით პირველი ადგილები მოიპოვეს თბილისელმა გ. ფანცულაიამ, ბაქოელმა რ. ავეტისიანმა, ხაბაროვსკელებმა ა. გერასიმენკომ და ა. გაგარკინმა, სოხუმელმა რ. ჩირიკბაიამ, ერევნელმა ე. ოპანესიანმა, ახალციხელმა ს. გოგოლაურმა, ხაბაროვსკელმა ვ. შჩერბაკოვმა, ნალჩიკელმა მ. ჟაბოევმა და ხარკოველმა ვ. ზიმენკომ.

ტურნირის საპატიო სტუმრები იყვნენ ლეგენდარული მე-18 სადესანტო არმიის ვეტერანები, მცირე მიწის ბრძოლების მონაწილენი. (საქინფორმი).

სატურნირო ორბიტა

ველოსპორტი

თბილისი ცენტრალურ ველოტრეკზე დამთავრდა საქართველოს ტელევიზიის „დიდი პრიზის“ მეხუთე გამამაშეა. სპრინტერთა შეჯიბრებაში „დიდ პრიზს“ დაეუფლა რ. კუში (გდრ). 1 კმ-ზე ადგილიდან შეჯიბრება და 60 წრეზე ჯგუფური ასპარეზობა მოიგო ფ. შმიდკემ (გფრ). გამოდევნებით 4 კმ-ზე გუნდურ რბოლაში უძლიერესი იყო სსრ კავშირის ნაკრები (4.24,83). მეორე ადგილი დაიკავა ლენინგრადის ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდმა (4.25,21), მესამე — სსრ კავშირის მეორე ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაში გამოდიოდა თბილისელი ბ. ჩევარდოვი (4.31,89).

მძლეოსნობა

კოტლდამში გამართულ ასპარეზობაში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენებმა ორი მსოფლიო რეკორდი დაამყარეს: ოლიმპიურმა ჩემპიონმა ეგელინ იალმა — ბადროს ტყორცნაში — 71,50 მეტრი, ხოლო ილონა სლუპიანეკმა — ბირთვის კვრაში — 22,45 მეტრი.

მილანში პოლონელმა სპორტსმენმა ვლადისლავ კოზაკევიჩმა ჭოკით ხტომაში ყველას აჯობა და მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 572 სანტიმეტრი.

ბუგოინოს საერთაშორისო

ქალაქ ბუგოინოში მიმდინარე მოჭადრაკე ვაჟთა საერთაშორისო ასპარეზობის მეორე ტურში მსოფლიოს ჩემპიონმა ანატოლი კარპოვი შეხვდა ბოიან კურაიცას (იუგოსლავია). ეს პარტია ყაიმით დამთავრდა. ასევე დაზავდნენ ბენტ ლარსენი (დანია) და ლევ პოლუგაევსკი. მიხეილ ტალისა და ლუბომირ კავალეკის პარტია გადაიდო.

ჯერჯერობით ასპარეზობის ლიდერია ლუბომირ ლუბოევიჩი (იუგოსლავია), რომელმაც ორი ტურის შემდეგ 1,5 ქულა დააგროვა. კარპოვსა და პოლუგაევსკის თითო ქულა აქვთ, ტალს — 0,5 ქულა და 1 დაუმთავრებელი შეხვედრა.

ფელეტონი

მიხეილ ჭანტურიას ერთ ხანს, როცა ჯერ ისევ წალენჯიხის რაიონში, მშობლიურ სოფელ ჩქვარელის არასრული საშუალო სკოლის დირექტორად მუშაობდა, უცნაური სიზმრები დასჩემდა. უფრო უცნაური ის იყო, რომ ყოველ-ღამე თითქმის ერთი და იგივე ესიზმრებოდა: ვითომ ერთი კი არა, რამდენიმე თავი ება და დადიოდა ასე, ცხრათავიანი დევივით. სიზმარში ისე ცხადად გრძნობდა, როგორ ამოდიოდა ახალ-ახალი თავები, ოფლში გაბვითქული იღვიძებდა და მაშინვე სარკესთან მირბოდა შეშინებული, ხელით ისინჯავდა თავ-კისერს და ვიდრე არ დარწმუნდებოდა, ერთადერთი თავი მაბიაო, გული საგულეს ტოვებდა.

ერთ ღამეს დაესიზმრა, ვითომ მარტო მას კი არა, მთელ მის მოდგმას და ახლობელ-ნათესავებს, — დედ-მამას, და-ძმებს, სიდედრ-სიმამრს, ბიძაშვილ-დეიდაშვილ-მამიდაშვილებს — ყველას რამდენიმე თავი ება.

წინათ სიზმრებს დიდ ყურადღებას არ აქცევდა და არც წესად ჰქონდა სხვებისთვის ეამბნა სიზმრად ნანახი, მაგრამ ახლა ისე შეაწუხა და აიფორიაქა ამ აკვიატებულმა ზმანებებმა, უცქეროს ძმას, სერგო ჭანტურიას შესჩივლა:

— რაღაც კარგად ვერა ვარ, ხომ იცი შენ. გლახა სიზმრები მაქვს, — და იმ ცხრათავიან მოჩვენებებზე უამბო.

— ცხრა თავი?! რას ამბობ, კაცო! — გაიცინა სერგომ, — ცხრა თავი ერთად რომ დაგაჩენს პირს და ჭამას დაიწყებს, რა უთვა?

— შენ იცინი და, მე კი გადამრია მაგ სიზმრებმა.

— რამ შეგაშინა! კარგი სიზმრებია მაგი. თავები მოგემატა, ხომ არაფერი მოგკლებია! რაღაცას შეიძენ.

ამ საუბარში რომ იყვნენ ძმები, კარის მეზობელი, სევერიანე ჭანტურია შემოემატათ. მიხეილ ჭანტურიას სიზმრების ამბავი რომ გაიგო, იმანაც ბევრი იცინა და ბოლოს ბრანულად დასძინა:

— ცხრა თავის პატრონს, ცხრა ჯამაგირი და ცხრა პენსია მაინც უნდა გქონდეს.

— ცხრა ჯამაგირს ვინ მოგვაშავებს, თუ ცხრა ადგილას არ იმუშავე თბილისელი მეეზოვესავით. ჯამაგირი არა და, აი, ცხრა პენსია, რომ შეიძლებოდეს, მოგეცა ლუნა, კაი იქნებოდა არც მუშაობა გინდა და არც არაფერი: თვის ბოლოს მიხვალ და აიღებ ფულს, — როგორღაც ნაღვლიანად თქვა სერგომ და სევერიანე ჭანტურიას გადახედა, თითქოს მისგან ელოდა ნატვრის ასრულებას, რაც არ უნდა იყოს, სევერიანე ჭანტურიხის რაისაბჭოს აღმასკომის სოციუზრუნველყოფის განყოფილების უფროსს ინსპექტორად მუშაობდა.

— პენსია? იცოცხლე, პენსია კარგი იყოს! მუქთად აღებული ფულია.

— მერე?!.

— რა, მერე?

— რა და, იქნება კეთილად ავიხდინო ეს უბედური სიზმრები.

— აააა, შენ ცხრა პენსია გინდა ცხრა თავის მაგიერ, არა?.. ეს ვინ ყოფილა, კაცო! — სიცილით გადაბქუბდა სევერიანე, ძმებიც ამყვნენ და ისეთი სიცილ-ხორხორა ატეხეს, დაქანგული ზარები შეშფოთდნენ ძველი ეკლესიის სამრეკლოზე.

სიცილით გული, რომ იჯერეს და სული მოითქვეს, უცებ ყველა დადუმდა და დასერიოზულდა — სამივემ ერთსა და იმავე დროს იგრძნეს და შეიგნეს: ეს სახუმარო აზრი არ იყო და საქმე ხომ— მით უფრო!..

რამდენიმე დღის შემდეგ წალენჯიხიდან საგანგებოდ ამოვიდა სევერიანე ჭანტურია და ძმებს ახარა, სოციუზრუნველყოფის განყოფილებაში პენსიების გაფორმების საქმეს მე გკისრულობ, თქვენ ოღონდ, რასაც გეტყვით, ის საბუთები მომიტანეთო.

გვითხარი, რა არის საჭირო და მზად ვართო.

— ჯერ ლაფერი უთხრა და აუწყნა და ძმებიც მაშინვე დატრიალდნენ. რაღა შორს წავიდეთ, ჯერ ავერ, დედაჩვენს დაუნიშნოთ პენსიაო, თქვეს, და მალე სოციუზრუნველყოფის განყოფილებაში წარადგინეს ყალბი დოკუმენტები, რომელთა ძალით დედას — ელიპდე სტეფანეს ასულ ჭანტურიას უფლება ეძლეოდა ყოველთვიურად მიეღო 66 მანეთი და 80 კაპიკი პენსია.

— ბაჟოს! ეს არც ისე ძნელი საქმე ყოფილა, ხომ იცი შენ! — ჭანტურიამ სახლიკაცებს შესჩივლა.

— ამ ჩემი ძმისა არ იყოს, მეც ცუდი სიზმრები დამჩემდა ბოლო დროს.

— რა სიზმრებია ამისთანა?

— ცხონებული ჩემი სიმამრი მეცხადება ყოველღამე და ფულს მთხოვს.

— რას ამბობ, კაცო, მკვდარს რად უნდა ფული?! — გაუკვირდა სევერიანეს.

— ალბათ სჭირდება, აბა რატომ მომთხოვდა.

— თუ სჭირდება გაუგზავნე, მერე...

— ხომ არ გაგიჟდი, სადა მაქვს მკვდრისთვის გასაგზავნი ფული.

— არ გაქვს და, დაუუნიშნოთ პენსია. — გაიცინა სევერიანემ, ქარაგმულს მიუხვდა მეგობარს.

და დაუნიშნეს მოხუცებულობის პენსია სარდიონ ალექსანდრეს ძე ძიძიგურს, სერგო ჭანტურიას სიმამრს, ათი წლის წინათ განსვენებულ კაცს.

მერე კიდევ რამდენიმე მკვდარი ნათესავი გამოეცხადათ ძმებს და იმათაც დაუნიშნეს პენსია.

— სერგო, მგონი ნამეტანი შეეტოპეთ, ხომ იცი შენ, — უთხრა ერთ დღეს მიხეილ ჭანტურიამ ძმას, — შემოსავლის წყარო კარგი გავიჩინეთ, მაგრამ ეს ჩვენი ცრუ პენსიონერები, მკვდრებიც ბოლოს ერთბაშად სამი ძირითადი მოთამაშე აკლია, და თანაც ისეთი მაღალი კლასისა, როგორიც მანუჩარ მაჩაიძე, გეცაევი და დარასელია არიან, ცხადია, მის წინაშე პრობლემათა წყება წარმოიქმნება ხოლმე. ცსკა-სთან თბილისში კვირას გამართულ მატჩში თბილისის „დინამომ“ არათუ გარკვეულწილად დაძლია წამოჭრილი პრობლემები, უფრო მეტიც, მეტოქეებს ორგანიზებული კოლექტივის სახით შეუვალ ზღუდედ და, რაც მთავარია, ერთთავად მოიერიშე გუნდად მოევლინა.

ასეთ პირობებში ძირითადად დაცვაზე ზრუნვა მოსკოველ არმიელთა ხვედრი აღმოჩნდა, თბილისელებმა კი თამაშის სწრაფი ტემპითა და განუწყვეტელი იერიშებით მეტოქეებს მინდვრის შუაგულში ფართოდ მანევრირების საშუალებაც მოუსპეს და საკონტრიერიშო შესაძლებლობანიც მინიმუმამდე შეუმცირეს. მოედნის ცენტრის მისადგომებიდან წამოწყებული იერიში, მისი შემდგომი განვითარება და უკვე მეტოქეთა საჯარიმო მოედანზე ამ იერიშის კიდევ უფრო გამწვავება ფეხბურთელისაგან ძალების უაღრეს დაძაბვას მოითხოვს. ყიფიანმა ამ ფუნქციას შესანიშნავად გაართვა თავი. იგი არც პარტნიორებმა დააღალატეს, უმეტესწილად კარგად უღებდნენ ალღოს მის ტაქტიკურ ჩანაფიქრებს და არმიელები ერთთავად ხიფათის ზღვარზე ჰყავდათ. ყოველივე ეს საბოლოოდ ორი გოლით დაგვირგვინდა (24-ე და 37-ე წუთებზე). ორივეჯერ თანაატორი ყიფიანი გახლდათ. პირველად, როცა ყიფიან-ჩელებაძის ბრწყინვალედ გათამაშებული ოთხსვლიანი კომბინაციის შემდეგ ამ უკანასკნელმა ერთობ რთულ ვითარებაში აიღო არმიელთა კარი, მეორედ კი, როცა მეტოქე მცველთა გარემოცვაში მყოფმა შეხვედრამ ყიფიანისაგან მიიღო ბურთი და ალბათ ერთადერთი სწორი გადაწყვეტა აირჩია: ოსტატურად „აკენწლა“ ბურთი და შემოტრიალებით ერთობ ეფექტური გოლი გაიტანა.

„დინამომ“ მეორე ტაიმში მოპოვებული წარმატების ბოლომდე შენარჩუნების ტაქტიკა აირჩია და საწყადესაც მიაღწია. თუმცა ერთხელ (71-ე წუთზე) 11-მეტრიანი საჯარიმო ჩელებაძეს რომ უფრო ზუსტად დაერტყა, ანგარიშში სხვაობაც გაიზრდებოდა.

ახლა იმ არასწორ და ჭეშმარიტი სპორტსმენისათვის შეუფერებელი თამაშის ტაქტიკაზე, რომელიც არმიელებმა მატჩის დასაწყისში თბილისელთა გაშლილი ფრონტით იერიშებს დაუპირისპირეს. ისინი სარმითა (გიახსენეთ ბელენკოვის მიერ მინდვრის შუაგულში ერთობ სახიფათოდ წაქცეული ყიფიანი) თუ სხვა უხეში ილეთებით საკონფლიქტო სიტუაციათა პროვოცირების გზით ცდილობდნენ მასპინძელთა იერიშების ჩაშლას, და ამ დროს რატომღაც მსაჯიც ლიბერალობას იჩენდა. დინამოელები არ აჰყვნენ მეტოქეებს, თავის ძალებში დარწმუნებულებმა შეუდრეკლად გაგრძელეს თამაში და აკი გაიმარჯვეს კიდეც — 2:0.

ვიმეორებთ, თბილისის „დინამომ“ ერთობ შესუსტებული შემადგენლობით იმარჯვა. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ სხვადასხვა გარემოებათა გამო შექმნილი სიძნელეები დინამოელებმა ამ ერთი მატჩით გააუვნებლეს. საჭიროა კიდევ უფრო მეტად მობილიზება, ამყარდა არსებული ძალების კიდევ უფრო სრულად გამოვლენა. ფიზიკური გამძლეობის ამაღლება, უხეში თამაშისადმი გულგრილი დამოკიდებულების დაპირისპირება, და ამა თუ იმ მეტოქე გუნდის ძალების შეუმცდარი შეფასებაც.

„დინამომ“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: გაბელია, კოსტავა, ჩიკვაძე, ხინჩაგაშვილი, გ. მაჩაიძე, (კობალეიშვილი), მინაშვილი, ჯილაია, სულაქველიძე, შენგელია, ყიფიანი, ჩელებაძე (თავაძე).

ჯ. ენუქიძე.

სხვა მატჩები

უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეშვიდე ტურის სხვა მატჩები ასე დამთავრდა:

„ჩერნომორ.“-„მახტაორი“ — 1:1
„კარპატი“-„დინამო“ კ. — 2:4
„ზენიტი“-„ყუბანი“ — 2:0
„დინამო“ მ.-„დინამო“ მნ. — 1:1
„სპარტაკი“-„ყაირათი“ — 3:0
ასკ რ.-რ.-„ნეფთჩი“ — 3:0

გათამაშების ცხრილი

უმაღლესი ლიგა

მდგომარეობა 18 მაისისათვის					
	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“	4	2	1	10-2	10
„დინამო“ კ.	4	2	1	15-8	10
„ზენიტი“	4	2	1	10-6	10
„დინამო“ თბ.	3	3	1	9-4	9
„დინამო“ მ.	3	2	2	7-6	8
„ფახთაქორი“	3	2	2	9-6	8
„დინამო“ მნ.	2	4	1	9-5	8
ასკ	2	4	1	8-6	8
„არარატი“	2	4	1	7-6	8
„შახტიორი“	2	3	2	10-9	7
„ლოკომოტივი“	2	3	2	8-7	7
„ტორპედო“	2	2	3	3-5	6
„ჩერნომორეცი“	1	4	2	3-5	6
ცსკა	2	1	4	5-12	5
„ყაირათი“	1	3	3	7-12	5
„კარპატი“	1	2	4	5-13	4
„ყუბანი“	0	4	3	3-7	4
„ნეფთჩი“	0	3	4	3-12	3

მამია დუდუჩავა



ქართულმა ფილოლოგიის მეცნიერებამ დიდი დანაკლისი განიცადა — ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 69 წლისა გარდაიცვალა 1939 წლიდან სკკპ წევრი, ცნობილი ლიტერატურათმცოდნე, მწერალი და საზოგადო მოღვაწე, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის თეორიის ბელადი, საქართველოს სსრ მეცნიერების და ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მამია იოსების ძე **დუდუჩავა.**

მ. დუდუჩავა იყო ფართო დიაპაზონის მკვლევარ-თეორეტიკოსი, რომელიც ნახევარი საუკუნის მანძილზე დაუღალავად და უშრეტი შემოქმედებითი ენერგიით იკვლევდა ლიტერატურის თეორიისა და ხელოვნებათ-მცოდნეობის, ქართული მხატვრული კულტურისა და ესთეტიკური აზროვნების ისტორიის, მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკისა და კრიტიკის მნიშვნელოვან პრობლემებს.

მ. დუდუჩავა დაიბადა 1911 წლის 14 აგვისტოს სოფელ საკამიასერში (ჩოხატაურის რაიონი) რევოლუციონერი მუშის ოჯახში. საშუალო განათლება მიიღო ქ. ქუთაისში, შემდეგ კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი დაამთავრა და ეწეოდა პედაგოგიურ მუშაობას საშუალო სკოლებში.

მ. დუდუჩავამ 1938 წელს მოიპოვა ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, 1940 წელს კი მიენიჭა დოცენტის წოდება. მონოგრაფიისთვის „ი. ჭავჭავაძის ესთეტიკა“ მ. დუდუჩავას 1961 წელს მიენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი, 1963 წელს — პროფესორის წოდება.

1943-45 წლებში მ. დუდუჩავა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების სექტორის გამგეა. შემდეგ კი, 1948 წლამდე, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირექტორი 1948-52 წლებში იგი თბილისის სამხატვრო აკადემიის რექტორია. აქვე, 1969-77 წლებში მ. დუდუჩავა შეთავსებით მუშაობდა სახვითი ხელოვნების თეორიისა და ესთეტიკის კათედრის გამგედ, ხოლო 1977 წლიდან კათედრის პროფესორად.

1952 წლის სექტემბრიდან მ. დუდუჩავა იყო რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ერთი წლის შემდეგ კი იგი სათავეში ჩაუდგა ამავე ინსტიტუტში ახლად შექმნილ ლიტერატურის თეორიის განყოფ